2011 წელი, 20-26 იანვარი

ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№1 (515) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## გთავაზობთ 2011 წლის საატესტატო გამოცდების ტესტური დავალებების ნიმუშებს

## მკითხველთა საყურადღებოდ!

„ახალი განათლების“ შეძენა შესაძლებელია „უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის გავრცელების ჯიხურებში, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

„ახალი განათლების“ ხელმოწერის მსურველებმა 2011 წლის ხელმოწერის თანხა ერთი წლით - 40 ლარი უნდა გადმორიცხონ ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202 058 735;
ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000

C M Y K

# საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის მიმართვა პედაგოგებს!

გაზეთ „ახალი განათლების“ 2010 წლის 9-15 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის გაყალბებული არჩევნები“ ქალბატონი ეკა ჩერქეზიშვილი არაობიექტურად და ტენდენციურად აწვდის ინფორმაციას გაზეთის მკითხველებს, სპმთპ-ს რიგგარეშე საარჩევნო მე-6 ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ. ჩვენ შეგნებულად ვიკავებდით თავს სპმთპ-ს აღმასრულებელი საბჭოს გარკვეული ნაწილის დაპირისპირებაში ჩაგვერთო პედაგოგთა საზოგადოება. აუცილებელი გახდა, გამეკეთებინა რამდენიმე კომენტარი.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წესდების შესაბამისად, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, შექმნილი იყო სპეციალური კომისია. კომისიის ხელმძღვანელის, ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მიზანს წარმოადგენდა: ორგანიზაციის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულიყო არა ფუნქციონერი ხელმძღვანელი, არამედ მოქმედი მასწავლებელი. ჩემი კანდიდატურა აკმაყოფილებდა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციისთვის საჭირო კრიტერიუმებს: მე-7 მუხლის 7.13 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა სამწლიანი გამოცდილება და არის ყრილობის დელეგატი. სპმთპ-ს პრეზიდენტობაზე განცხადება შეტანილი ჰქონდა ქალბატონ მანანა კობახიძეს. საარჩევნო-საპროცედურო კომისიას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, გაეტარებინა იგი პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში, რადგან არასწორად იყო არჩეული ყრილობის დელეგატად.

ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა შექმნა მოცემულობა, რომელიც თავის თავშივე შეიცავს წინააღმდეგობას, რომელზეც ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ. ადამიანთა ჯგუფი, ეკა ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით, აცხადებს, რომ წარმოადგენს იმ უმრავლესობას, რომელმაც პროტესტის ნიშნად დატოვა სპმთპ-ს ყრილობა, რის გამოც ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევა ლეგიტიმურად ვეღარ მოხდებოდა.

ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს, რომ უმრავლესობას, თუკი ეს ჯგუფი ასეთი იყო, შეეძლო, დემარშის გარეშე, არჩევნებში მონაწილეობის გზით ჩაეგდო მისთვის არასასურველი კანდიდატურა. ამგვარ დემოკრატიულ ნაბიჯს ყველა მხარე სათანადო პატივისცემით მიიღებდა, მათ შორის ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც ყრილობის მუშაობას პირადად ადევნებდნენ თვალს.

ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ეკა ჩერქეზიშვილმა ყრილობის დატოვება გაამართლა იმით, რომ ხმების სწორად დათვლის იმედი არ ჰქონდა. იგი აქაც წინააღმდეგობაში ვარდება – უმრავლესობას, თუკი მას ასეთი ჰყავდა, შეეძლო პრეზიდენტის ღია კენჭისყრით არჩევა მოეთხოვა. ადამიანების ამ ჯგუფმა არც ეს გააკეთა. ამის ნაცვლად, დარბაზში ჟურნალისტების შემოსვლის შემდეგ, მათ ხმაურით შეწყვიტეს მუშაობა და მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში, ყველანაირად ცდილობდნენ, ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოს შეკრება ჩაეშალათ.

მოლოდინი იმისა, რომ, შეიძლებოდა, მსგავსი „საჩვენებელი“ დემარში მოწყობილიყო, არსებობდა და სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ყრილობის მუშაობისა და შედეგების შესახებ ჟურნლისტებთან მოგვიანებით, სპეციალურ პრესკონფერენციაზე გვესაუბრა.

ყველაფერი დანარჩენი, რაზეც „აღმასრულებელი საბჭო, სპმთპ-ს უმრავლესობის სახელით“ წერს, ერთი ჯგუფის პირადი დამოკიდებულებაა კონკრეტული მოვლენისა და კონკრეტული ადამიანების მიმართ, ამასთან – ტენდენციური.

სპმთპ-ს ახალი პრეზიდენტის ლეგიტიმურობა დაადასტურა ყრილობაზე მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა წარმომადგენელმა, კერძოდ: განათლების ინტერნაციონალის გენერალური მდივნის კონსულტანტმა გასტონ დე ლა ჰემ, ადამიანის უფლებათა დაცვის და ევროკავშირის წარმომადგენელმა ოლივერ რაიზნერმა, ამერიკის მასწავლებელთა საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსმა დევიდ დორნმა, ამერიკის შრომის საერთაშორისო „სოლიდარობის ცენტრის“ ქართული პროგრამების დირექტორმა რობერტ ფილდინგმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში ია თიკანაძემ. 2010 წლის 3 ნოემბერს, მისიის ანგარიშში, ხოლო შემდეგ, 2010 წლის 8 დეკემბერს, სპეციალურ განცხადებაში განათლების ინტერნაციონალმა სპმთპ-ს ახალი პრეზიდენტის არჩევის ლეგიტიმურობა ოფიციალურად დაადასტურა.

გასული წლის ბოლოს, გაიმართა შეხვედრა აშშ-ს ელჩთან, ჯონ ბასთან. მედიისათვის გაკეთებულ განცხადებაში, აშშ-ს ელჩმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს სპმთპ-ს ლეგიტიმურად არჩეულ პრეზიდენტს და თავად გახლდათ ჩვენი შეხვედრის ინიციატორი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკეთესობისკენ იცვლება გასულ წელს უკიდურესად გართულებული ურთიერთობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მხედველობაში გვაქვს სამინისტროს 2010 წლის 30 ნოემბრის მიმართვა საჯარო სკოლების ადმინისტრაციებისადმი, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ პროფესიულ კავშირებში მონაწილეობის, მათ შორის, საწევრო გადასახადების გადარიცხვებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპმთპ-მ განაახლა სკოლებთან კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმება.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით „აღმასრულებელ საბჭოს“, რომელიც საზოგადოებას „სპმთპ-ს უმრავლესობის სახელით“ ელაპარაკება. ადამიანების ამ ჯგუფის შეკრებები მიმდინარეობდა სპმთპ-ს აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტის, მე-2 მუხლის 2.4 პუნქტის, სპმთპ-ის წესდების 6.6 მუხლის უხეში დარღვევით. აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციაში არ შედის ორგანიზაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა ან რიგგარეშე ყრილობის მოწვევა. შესაბამისად, მათი „გადაწყვეტილებები“ ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება და მასწავლებელთა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს.

პროფკავშირის არაკეთილმოსურნეთა ჯგუფის მიზანია, შეინარჩუნოს პრივილეგირებული მდგომარეობა, მაღალი ხელფასები, პედაგოგთა ისედაც მცირე ხელფასის 1%-ის ხარჯზე შეიქმნან პირადი კეთილდღეობა.

იმედს გამოვთქვამ, ჩვენი ორგანიზაციის წევრები ღრმად გააანალიზებენ არსებულ ვითარებას და პროვოკაციულ ქმედებებს არ აჰყვებიან. თქვენი დახმარებით შევძლებთ შევინარჩუნოთ თავისუფალი, დემოკრატიული, 105 წლის ორგანიზაცია.

ღრმა პატივისცემას გამოვთქვამ საქართველოს მასწავლებლების წინაშე. მოგვიტევეთ, რომ პრობლემებით სავსე თქვენს დატვირთულ ცხოვრებას კიდევ ერთი საფიქრალი გავუჩინეთ.

*პატივისცემით,*
***მაია კოპაძიძე***
*პედაგოგთა და მეცნიერთა*
*თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი*

## ინფორმაცია

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებლები, დირექტორი, მანდატურები, კერძო და საჯარო სკოლა და ასევე, საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი გამოავლინა.

წლის საუკეთესო მოსწავლედ თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური 199-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **სანდრო მალუძე** დასახელდა. სანდრო მალუძე 2010 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში ორგზის გამარჯვებულია, მან მეორე ადგილი ფიზიკაში მოიპოვა, მეოთხე ადგილი მათემატიკაში, ხოლო 7 საგანში მეორე ტურში გადავიდა, 4 საგანში კი – დასკვნით ტურში.

წლის საუკეთესო მასწავლებლად რუსთავის 26-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი **ზაზა მელიქიძე** დასახელდა. მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებში ზაზა მელიქიძემ მათემატიკის საგნობრივ გამოცდაში ყველაზე მაღალი ქულა დაიმსახურა და ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი აქვს უნარებში. მისი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სასწავლო ეროვნულ ოლიმპიადებში.

საუკეთესოდ დასახელდა პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსული, ინგლისური ენის მოხალისე პედაგოგი **სტეფანი ეგერი**, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის საჯარო სკოლაში მოღვაწეობს. მისი გაკვეთილები გამორჩეული და ძალზე საინტერესოა, სტეფანმ მოსწავლეთა და ზოგადად სოფლის მაცხოვრებელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი მრავალი ღონისძიების ავტორია და ხელმძღვანელობს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს, სადაც მასწავლებლებსაც აქვთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ენის ცოდნა.

გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მანდატურებიც, ესენი არიან: №199 საჯარო სკოლის მანდატური **ლევან ხარაზიშვილი**, №151 სკოლის მანდატური **ლანა ღონღაძე** და №56 სკოლის მანდატური **გიორგი ქამუშაძე**. ეს ადამიანები განსაკუთრებული გულისხმიერებით, ბავშვებისადმი დიდი ყურადღებითა და მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩნენ. არაერთი მოზარდი მიმართავს მათ პირადი პრობლემებით და იღებს შესაბამის დახმარებას. ისევე როგორც სხვა სკოლებში, ზემოაღნიშნულ სკოლებშიც აღმოიფხვრა დანაშაულის, სკოლის უმიზეზოდ გაცდენის და დაგვიანების ფაქტები.

წლის საუკეთესო დირექტორად თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური №42 საჯარო სკოლის დირექტორი **ალუდა გოგლიჩიძე** გამოვლინდა. ორი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ამ სკოლის მოსწავლეები სასწავლო ოლიმპიადებში ფიზიკასა და მათემატიკაში პირველ ადგილს იკავებენ, წარმატებებით ბრუნდებიან საერთაშორისო ოლიმპიადებიდანაც. კურსდამთავრებულთა 50% უმაღლეს სასწავლებლებში 100%-იანი გრანტებით ხვდებიან. ამას ყველაფერს ხელს უწყობს სკოლაში მოქმედი საგნობრივი წრეები და პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაცია. ამ სკოლის მოსწავლეებს მაღალი მაჩვენებლები აქვთ ჰუმანიტარულ საგნებშიც. სკოლის დირექტორის ინიციატივით, სკოლაში ბევრი ახალი პროექტი და პროგრამა ხორციელდება. ალუდა გოგლიჩიძე თავადაც აქტიურად მონაწილეობს სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების შემუშავებაში.

წლის საუკეთესო საჯარო სკოლად ახალციხის №5 სკოლა დასახელდა. სკოლა ყველაზე მრავალრიცხოვანია ახალციხეში, პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში, მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით. დიდი ყურადღება ეთმობა სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თანამედროვედ აღჭურვას. საკუთარი თანხების მობილიზებით სკოლაში არაერთი სარეაბილიტაციო საქმიანობა განხორციელდა.

წლის საუკეთესო კერძო სკოლად სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“ დასახელდა. თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე სკოლაში სამინისტროს მიერ ინიცირებული ყველა სიახლეა დანერგილი და წარმატებით ხორციელდება. „მწიგნობართუხუცესი“ერთ-ერთი პირველი კერძო სკოლაა, რომელიც სამინისტროს ინიციატივას გამოეხმაურა და სექტემბრიდან უფასოდ სწავლის გაგრძელება შესთავაზა რამდენიმე ნიჭიერ და წარმატებულ მოსწავლეს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და მოსწავლეებს, რომელთაც სასკოლო ეროვნულ ოლიმპიადებში გაიმარჯვეს.

წლის საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელად თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი **რუსუდან ჩხეტია** დასახელდა. მას მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, არის ბევრი ღონისძიებისა და ტრენინგის ორგანიზატორი. რუსუდან ჩხეტიას ძალისხმევით რაიონის სკოლის დირექტორები და მასწავლებლები მუდამ არიან ინფორმირებულები სიახლეებისა და ახალი ინიციატივების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ზემოთ ჩამოთვლილ ნომინაციებში გამარჯვებულებს სპეციალურად დაწესებული ჯილდოები გადასცა და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს, ასევე კერძო და საჯარო სკოლებსაც. რადგან მათ ჰქონდეთ მოტივაცია კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიონ.

მომავალშიც, ყოველწლიურად, გამოვლინდება წარმატებული მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, მანდატური, კერძო და საჯარო სკოლა და ასევე, საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

❖❖❖

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **სულხან სისაური** საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ესტუმრა, სადაც ფონდის დაფინანსებით შეძენილი სამეცნიერო აპარატურა – არადესტრუქციული პორტატული ენერგოდისპერსიული რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრი დაათვალიერა.

ახალი სპექტრომეტრი ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს ნივთის დაუზიანებლად შეისწავლონ საქართველოს მუზეუმებში დაცული კოლექციები, გააკეთონ უძველესი მხატვრული ლითონწარმოების ტექნიკური ანალიზი და დაადგინონ საუკუნეების წინ დამზადებული ოქრომჭედლობის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სპექტრომეტრის საშუალებით მიმდინარე ექსპერიმენტს ადგილზე გაეცნო და განაცხადა, რომ ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს ქართველ მეცნიერებს საქმიანობისთვის საჭირო აპარატურის შეძენაში. სულხან სისაურის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ფონდის დაფინანსებით შეძენილი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურებით სარგებლობა მკვლევართა ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია.

აპარატით უკვე განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა. სპექტრომეტრის საშუალებით გაკეთდა 2010 წელს ვანში აღმოჩენილი ელინისტური პერიოდის ბრინჯაოს არტეფაქტების ტექნიკური ანალიზი, ასევე შესწავლილ იქნა ნოქალაქევის, ჩხოროწყუს, გორის, ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმებში დაცული ექსპონატები.

რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრი ეროვნულმა მუზეუმმა რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სახელმწიფო გრანტი სამეცნიერო აპარატურის შესაძენად“ ფარგლებში 2010 წელს შეიძინა. აპარატი პორტატული და მარტივად ტრანსპორტირებადია. ექსპონატების ექსპერტიზის გარდა ის გამოიყენება კრიმინალისტიკაში, ასევე საკვები პროდუქტების ზუსტი ანალიზისთვის.

2006 წლიდან რუსთაველის ფონდმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის 7 პროექტი დააფინანსა, მათ შორის 5 სახელმწიფო სამეცნიერო გრანტია, 1 – საკონფერენციო და 1 – სახელმწიფო გრანტი სამეცნიერო აპარატურის შესაძენად.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

# 2011 წლის საატესტატო გამოცდები

## ხშირად დასმული კითხვები

**1. რამდენ გამოცდას ჩააბარებს მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებზე?**
მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებზე ჩააბარებს 8 გამოცდას, ესენია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ერთი), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.

**2. ფასიანია თუ არა გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა?**
გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა უფასოა.

**3. ექნებათ თუ არა მოსწავლეებს, რომლებიც არ გავლენ გამოსაშვებ გამოცდებზე ან ვერ გადალახავენ ბარიერს, მომდევნო წელს ატესტატის აღების შესაძლებლობა?**
მოსწავლეს მომდევნო წელს ექნება შესაძლებლობა ჩააბაროს ის საგნები, რომლებშიც ვერ გადალახა ბარიერი და აიღოს ატესტატი.

**4. გამოსაშვებ გამოცდებზე რა იქნება თითოეულ საგანში გადასალახი ბარიერი?**
ბარიერი დადგინდება გაზაფხულზე დაგეგმილი პრეტესტის შედეგების გაანალიზების მიხედვით.

**5. აქვს თუ არა სკოლას უფლება არ დაუშვას მოსწავლე გამოცდაზე?**
იმისათვის, რომ მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა გამოსაშვებ გამოცდებში, ის სკოლამ დადებითად უნდა შეაფასოს ყველა საგანში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე არ დაიშვება გამოსაშვებ გამოცდებზე.

**6. შესაძლებელი იქნება თუ არა გამოსაშვებ გამოცდებზე მოსწავლემ ჩააბაროს უცხოური ენა, რომელსაც არ სწავლობს სკოლაში (მაგალითად, მოსწავლე სწავლობს ინგლისურს და რუსულს, გამოცდაზე კი გერმანულის ჩაბარება სურს)?**
მოსწავლემ გამოსაშვებ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს იმ უცხოური ენებიდან ერთ-ერთი, რომელშიც სკოლა მას უწერს ნიშანს, აფასებს, ეს ეხება არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებსაც. მოსწავლე ვერ ჩააბარებს ენას, რომელშიც არ ფასდება, მიუხედავად იმისა, ზოგადად ისწავლება თუ არა ეს ენა მის სკოლაში.

**7. როდიდან დაიდება ინტერნეტში გამოსაშვები გამოცდების საცდელი ვარიანტები თითოეული საგნის მიხედვით?**
დეკემბრის ბოლოს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა ტესტური დავალებების ნიმუშები და საგამოცდო პროგრამა, მინიმალური სტანდარტი განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. მარტის თვეში კი გამოცდების ეროვნული ცენტრი პროგრამის სადემონსტრაციო ვერსიას განათავსებს www.naec.ge-ზე.

**8. ტესტირებისას დაფიქსირდება თუ არა კითხვაზე პასუხის გაცემისას სწორია თუ არა პასუხი?**
მოსწავლე ვერ დაინახავს სწორად უპასუხა თუ არა კითხვას, პროგრამა მას უბრალოდ მომდევნო კითხვას მიაწვდის.

**9. იმოქმედებს თუ არა მედლის გაცემაზე გამოსაშვები გამოცდების ქულები?**
ოქროს მედალი არის სკოლის მიერ გაცემული ჯილდო და მას სკოლა გადასცემს მოსწავლეს, რომელმაც სასწავლო პერიოდის განმავლობაში საუკეთესო შედეგები აჩვენა, ოქროს მედალოსნები ჩვეულებრივ მიიღებენ მონაწილეობას გამოსაშვებ გამოცდებში. ბუნებრივია, თუ მედლის კანდიდატი ჩაიჭრა რომელიმე გამოცდაში, ის მედალს ვერ მიიღებს.

**10. რა სირთულის ტესტები იქნება ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკაში?**
2011 წელს საატესტატო გამოცდებზე (მათ შორის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც) დავალებების ძირითადი ნაწილი შეირჩევა მარტივი დავალებების ბლოკიდან – მოსწავლე ბარიერის გადალახვას მარტივი დავალებების ხარჯზე შეძლებს.

**11. მოუწევს თუ არა მოსწავლეს ქართულის გამოცდაზე თემის დაწერა?**
კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეს არაფრის (არც თემის) დაწერა არ მოუწევს – მან 4 შემოთავაზებულიდან მხოლოდ ერთი, მისი აზრით სწორი პასუხი უნდა მონიშნოს.
მოსწავლეს ექნება ქაღალდი და ფანქარი იმ შემთხვევებისთვის, თუ მას გამოანგარიშება დასჭირდა.

**12. თუ გამოცდის მსვლელობისას წყობიდან გამოვიდა კომპიუტერი ან გაითიშა ინტერნეტი, რა ბედი ელის მოსწავლეს?**
თუ გამოცდის მსვლელობისას მოხდა მცირე შეფერხება, მოსწავლე ამით არ დაზარალდება, მისი ყველა პასუხი ავტომატურად შეინახება და შეფერხების აღმოფხვრისას ის ჩვეულებრივ გააგრძელებს მუშაობას. თუ შეფერხება ხანგრძლივი აღმოჩნდა, მოსწავლე ამ გამოცდას სხვა დღეს ჩააბარებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამჟამად ახორციელებს გამოსაშვები გამოცდებისათვის ტექნიკური ბაზის მონიტორინგსა და გამართვას, სკოლების ინტერნეტიზაციას საქართველოს მასშტაბით კომპანია „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს.

**13. როდის დაიწყება გამოსაშვები გამოცდები და რამდენ ხანს გაგრძელდება?**
საატესტატო გამოცდები 20 მაისის შემდეგ დაიწყება და ივნისის დასაწყისში დასრულდება.

**14. იქნება თუ არა განსაზღვრული კითხვების რაოდენობა?**
გამოსაშვები გამოცდების კითხვების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ამ ტიპის გამოცდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამა, კონკრეტულ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით ურჩევს მოსწავლეს მომდევნო კითხვას, სანამ მის შესაძლებლობებს არ დაადგენს.
შესაძლებელია ერთი მოსწავლის შემთხვევაში კითხვების რაოდენობა, ვთქვათ, 30 აღმოჩნდეს, მეორის შემთხვევაში კი – 18. კითხვების მაქსიმალური რაოდენობა კი წინასწარ იქნება განსაზღვრული.

**15. იქნება თუ არა გამოსაშვები გამოცდები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე?**
გამოსაშვები გამოცდები ჩატარდება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც, ანალოგიური ფორმატით.

**16. თუ რომელიმე გამოცდაზე მოსწავლემ ბარიერი ვერ გადალახა, მიეცემა თუ არა ეროვნულ გამოცდებზე გასვლის შესაძლებლობა?**
მოსწავლე, რომელმაც გამოცდაზე ვერ გადალახა ბარიერი და ვერ აიღო ატესტატი, ვერ მიიღებს მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებში

**17. არის თუ არა განსაზღვრული საგამოცდო სექტორში მოსწავლეთა რაოდენობა?**
სექტორში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია და 15-ს არ გადააჭარბებს.

**18. გამოსაშვები გამოცდები ყოველდღე ჩატარდება თუ დღეგამოშვებით? როდის გახდება ცნობილი გამოცდის შედეგები?**
გამოსაშვები გამოცდები, სავარაუდოდ, ყოველდღე ჩატარდება. შედეგს (ქულას) მოსწავლე მონიტორზე გამოცდის დასრულებისთანავე დაინახავს.

**19. ვინ გაუწევს მეთვალყურეობას მეთორმეტე კლასის საატესტატო გამოცდებს?**
საატესტატო გამოცდებზე მეთვალყურეები წინასწარ შეირჩევიან გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ისევე, როგორც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. მათ, ტრენინგების გავლის შემდეგ ჩაუტარდებათ ტესტირება, რომლის შედეგების მიხედვით, საუკეთესოები მონაწილეობას მიიღებენ საატესტატო გამოცდებში, როგორც მეთვალყურეები.

**20. რატომ უნდა გაკეთდეს განაცხადი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მანამდე, სანამ მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდას ჩააბარებს?**
გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს საგამოცდო ცენტრებს და უზრუნველყოფს ტესტების ბეჭდვას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რასაც გარკვეული დრო სჭირდება და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია რეგისტრაცია სწორედ თებერვალსა და მარტში მოხდეს.

**21. შეძლებს თუ არა მოსწავლე ქიმიის გამოცდაზე პერიოდულობის სისტემისა და ხსნადობის ცხრილის გამოყენებას?**
მოსწავლეს ქიმიის გამოცდაზე ექნება პერიოდულობის სისტემისა და ხსნადობის ცხრილის გამოყენების შესაძლებლობა.

**22. გეოგრაფიის გამოცდაზე ექნება თუ არა მოსწავლეს რუკით სარგებლობის შესაძლებლობა?**
გეოგრაფიის გამოცდაზე მოსწავლეს ექნება რუკით სარგებლობის შესაძლებლობა.

**23. გამოსაშვები გამოცდებისას ექნება თუ არა მოსწავლეს შეცდომის გასწორების საშუალება?**
Cat-ის სისტემა მოსწავლეს ყოველ მომდევნო კითხვას მისი წინა პასუხიდან გამომდინარე ურჩევს და პასუხის გასწორება ამ სისტემით შესაძლებელი არ არის.

**24. კერძო სკოლის მოსწავლეებისთვისაც სავალდებულოა თუ არა გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება?**
საატესტატო გამოცდას კერძო სკოლების მოსწავლეებიც ჩააბარებენ და ამ გამოცდების ჩაბარების შედეგად ისინი ჩვეულებრივ მიიღებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემულ ატესტატს.

**25. საატესტატო გამოცდებისას იქნება თუ არა შეზღუდული დრო თითოეულ კითხვაზე პასუხის გასაცემად?**
თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ მოსწავლეს განსაზღვრული დრო ექნება, გამოცდის ხანგრძლივობა კი საათნახევარი იქნება.

**26. ენიჭება თუ არა რაიმე პრიორიტეტი მოსწავლეს, რომელიც გაიმარჯვებს ოლიმპიადაში?**
ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები ჩვეულებრივ ჩააბარებენ საატესტატო გამოცდებს.

## ქართული ენა და ლიტერატურა

საატესტატო გამოცდის ნიმუშები:

**1. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება** *ხელი შეუწყო*?
ა) გართობას.
ბ) დამშვიდებას.
გ) დახმარებას.
დ) მოწონებას.

**2. რომელ წინადადებაში** *არ არის* **ორთოგრაფიული შეცდომა?**
ა) ვიფიქრე, გავისეირნებ-მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.
ბ) ვიფიქრე, გავისეირნებ მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.
გ) ვიფიქრე, გავისეირნებმეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

**3. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**
ა) ბიჭი მარტო დარჩა და მწარედ ატირდა.
ბ) ვახშამი უხალისოდ გრძელდებოდა.
გ) უნებლიედ მათი საუბარი გავიგონე.
დ) ცხოვრება დუნედ მიედინებოდა.

**4. გარდაცვალების წინ დედოფალმა შუშანიკმა თქვა:** „უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკუანაისკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“. **რა იგულისხმა შუშანიკმა, როდესაც თავი ვენახის მეთერთმეტე ჟამის მუშაკს შეადარა?**
ა) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, ამიტომ ის თავს არ მიიჩნევს ღვთიური მადლის ღირსად.
ბ) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, მაგრამ ღვთიური მადლი მასაც ისევე მიენიჭება, როგორც პირველმოწამეებს.
გ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე განუზომლად დიდია, ისევე, როგორც პირველმოწამეებისა.
დ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე – პირველმოწამეებისა.

**5. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“.** *როდის* **გაიხარებს მევენახე** („მწიდნავი“)**?**
ა) როდესაც ვენახს გასხლავს.
ბ) როდესაც მოსავალს მოიწევს.
გ) როდესაც ყურძენს დაწურავს.
დ) როდესაც შრომას შეიმსუბუქებს.

**6. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფი ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“:**
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე – ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
**რა არის „კეთილი მეფის“ საზრუნავი?**
ა) სახელის მოიხვეჭა.
ბ) სიკეთის მოიხვეჭა.
გ) სიმდიდრის მოიხვეჭა.
დ) ძალაუფლების მოიხვეჭა.

**7. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ: „ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თავისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე, გააფთრებული გაჰკიოდა: – ჩემია! ჩემია!“ ჯაყოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?**
ა) მოკრძალება.
ბ) მომხვეჭელობა.
გ) უპრინციპობა.
დ) უსაქმურობა.

**შეფასების სქემა:**
1. ———————— გ); 2. ———————— ა); 3. ———————— გ);
4. ———————— ბ); 5. ———————— ბ); 6. ———————— ა);7. ———————— ბ).

→ 4

# 2011 წლის საატესტატო გამოცდების ტესტური დავალებების ნიმუშები

## უცხო ენები

### ინგლისური

1. ……. aunt lives in Mestia.
   A. Giorgi C. Giorgis
   B. Giorgi's D. Giorgis'

2. My friend Lasha speaks very ……
   A. fast C. faster
   B. fastly D. fastest

3. Nowadays Rugby ….. by many young people in Georgia.
   A. plays C. was played
   B. is played D. are played

4. We can go to the mountains in summer ……
   A. and go to the seaside. C. still go to the seaside.
   B. but go to the seaside. D. or go to the seaside.

5. The prices in this supermarket are quite …….. Everyone can afford buying things there.
   A. reason C. unreasonable
   B. reasonable D. reasonably

6. How do you like my new haircut?
   A. Your hair needs washing. C. The old one suited you more.
   B. The old one was terrible. D. I like your hair.

7. Martina Navratilova was born in Czechoslovakia, but moved to America in 1975 when she started to become a successful tennis player. In 1981 she became a US citizen and the following year was the first woman professional tennis player to earn more than one million dollars in a season. Between 1978 - 1990 Martina Navratilova won single Final championships in Wimbledon, UK.
The text gives information about
   A. a successful tennis player. C . a rich woman
   B. Wimbledon championship. D. how to earn one million.

სწორი პასუხები: 1.B 2.A 3.B 4.D 5.B 6.C 7.A

### გერმანული

**Markieren Sie die passende Antwort (A, B, C oder D).**

1. Anna geht in die Konditorei. Sie will ..... kaufen.
   A. Käse C. Kuchen
   B. Milch D. Mehl

2. Andreas ruft seinen Freund Martin an: "Martin, kannst ..... mir helfen?
   A. du C. dein
   B. dir D. dich

Ich denke die ganze Zeit ..... meine Prüfungen.
   A) für C) von
   B) auf D) an

Wir ..... viel Obst gegessen.
   A. werden C. sind
   B. haben D. waren

Weisst Du …
   A. wie spät es ist? C. wie spät ist es?
   B. ob es ist spät? D. wie ist es spät?

Was habt ihr gestern bei Martin gemacht?
   A.– Nichts, wir spielen gern Schach.
   B.– Nichts, wir werden einfach Musik hören.
   C.– Nichts, wir haben einfach keinen Hunger.
   D.– Nichts, wir haben uns einfach unterhalten.

- **Wo findet der Dialog statt. Markieren Sie die passende Antwort (A, B, C oder D).**

- Kann ich Ihnen helfen?
- Ja, ich suche Briefpapier und Buntstifte.
- Papier und Stifte finden Sie im zweiten Stock.
- Vielen Dank.

A) Im Schreibwarengeschäft C) In der Bibliothek
B) In der Klinik D) Im Lebensmittelgeschäft

სწორი პასუხები: 1. C; 2. A; 3. D; 4. B; 5. A; 6 .D; 7.A

### ფრანგული

**Trouvez la bonne réponse (A, B, C ou D).**

1. Chaque matin je me promène avec _____ chien.
   A. mon B. mes C. ma D. mien

2. Est-ce qu'elle a parlé avec son père ? Oui, elle …. a parlé.
   A. vous B. nous C. le D. lui

3. _____ à chanter !
   A. Commences B. Commence C. Commencent D. Commencé

4. ____ la rue il y a beaucoup de voitures.
   A. à B. en C. dans D. au

5. On ne peut pas imaginer la ……. de la France sans chanson.
   A. politique B. presse C. poésie D. culture

**Où se passe l'action? Trouvez la bonne réponse (A, B, C ou D).**

6.
- Bonjour Madame.
- Bonjour.
- Je voudrais envoyer de l'argent en France.
- Combien ?
- 1000 euros.
- D'accord. Il faut présenter votre carte d'identité, remplir cette fiche et signer en bas.
- Voilà madame.
- Merci, monsieur.
- Merci, madame.
- Au revoir

   A. à la police B. à l'hôtel C. à la banque D. dans un magasin

**7. Lisez le texte et trouvez la bonne réponse (A, B, C ou D).**

À la fin de la guerre, au début des années 20, Louis Renault devient déjà le plus gros industriel français. Il reprend ses activités de produits civils. Il développe et produit en plus des automobiles, des machines agricoles, des moteurs pour la marine. Il diversifie ses activités et élargit son empire industriel. Vers 1939, les usines Renault font travailler 50 000 employés.

Après la guerre Les usines Renault ne fabriquent plus:
   A. les armes C. des machines agricoles
   B. les voitures D. des moteurs de bateaux

8. Le nouveau pantalon va-t-il à Pierre ?
   A. Il va loin ; B. il va pas mal ; C. Il lui va ; D. il va vite.

სწორი პასუხები:1 – A 2 – D 3 – B 4 – C 5 – D 6 – C 7 – A 8 – C

### რუსული

1. Сегодня … день рождения.
   A. моя B. мой C. моё D. мои

2. Мы часто ходим … .
   A. в бассейн B. в бассейне C. бассейн D. о бассейне

3. Дождь не ... целую неделю, и мы сидели дома.
   A. прекратился B. прекращается
   C. прекращался D. прекратится

4. Не знаю, какой карандаш выбрать – зелёный ..... красный.
   A. и B. или C. а D. тоже

5. По ____ историков, славяне стали возделывать гречиху в VII веке.
   A. примеру B. мнению C. выражению D. предложению

6. Глория и Марта приехали в Грузию из Испании. Сейчас они живут в Тбилиси, учатся в обычной школе, где изучают не только родной испанский язык, но и грузинский и русский, которые для них являются иностранными. Когда у ребят есть свободное время, они вместе со своими грузинскими друзьями с удовольствием гуляют по городу, посещают музеи, ходят в театры и на концерты. Им очень нравится Тбилиси. Маленькие испанки мечтают побывать и в других местах Грузии – поплавать в Черном море, покататься зимой на лыжах в Гудаури.
   A. Испанки часто бывали в Тбилиси.
   B. Тбилиси нравится всем.
   C. Подруги любят совершать прогулки по городу.
   D. Гудаури – лучший курорт.

7. Что где идёт?
   A. В Москве идёт дождь B. В Смоленске идёт снег
   C. Мне идёт этот костюм D. Я знаю лишь репертуар Театра Сатиры

სწორი პასუხები: 1. B 2. A 3. C 4. B 5. B 6. C 7. D

### მათემატიკა

1) მგზავრობის ღირებულება 40 თეთრიდან 50 თეთრამდე გაიზარდა. რამდენი პროცენტით გაიზარდა მგზავრობის ღირებულება?
   ა) 10% ბ) 20% გ) 25% დ) 40%

2) გიამ და ნინომ 55 ჩურჩხელა გაინაწილეს პროპორციით 2:3. რამდენი ჩურჩხელა შეხვდა ნინოს?
   ა) 11 ბ) 28 გ) 30 დ) 33

3) წრეწირის სიგრძეა 100. იპოვეთ მისი რადიუსი.
   ა) $\frac{50}{\pi}$ ბ) $\frac{100}{\pi}$ გ) $50\pi$ დ) $\frac{\pi}{10}$

4) ცილინდრის ფუძის რადიუსია 3, ხოლო სიმაღლე 6. რას უდრის ამ ცილინდრის მოცულობა?
   ა) $9\pi$ ბ) $18\pi$ გ) $36\pi$ დ) $54\pi$

5) ნახაზზე მოცემულია ტურისტის მიერ გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკის მიხედვით განსაზღვრეთ დროის რომელ ინტერვალში იყო ტურისტის სიჩქარე 2 კმ/სთ.




   ა) 0-0,5 სთ ბ) 0,5-1,5 სთ გ) 1,5-2 სთ დ) 2-3 სთ

6) კლასში 12 ბიჭი და 8 გოგოა. რა არის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით გამოძახებული მოსწავლე ბიჭი იქნება?
   ა) $\frac{4}{6}$ ბ) 0,6 გ) 0,4 დ) 0,12

7) ABCD ოთხკუთხედის B და D კუთხეები მართია. რისი ტოლია ამ ოთხკუთხედის A კუთხის სიდიდე, თუ $\angle C=70^0$ ?
   ა) $90^o$ ბ) $100^o$ გ) $110^o$ დ) $120^o$

სწორი პასუხები: 1. გ; 2. დ; 3. ა; 4. დ; 5. ბ; 6. ბ; 7. გ.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

# 2011 წლის საატესტატო გამოცდების ტესტური დავალებების ნიმუშები

## ბიოლოგია

1. ობობა იკვებება ქსელში გაბმული მწერებით. განსაზღვრეთ ურთიერთდამოკიდებულების რომელი ფორმაა ამ ორგანიზმებს შორის?
ა) პარაზიტიზმი ბ) კონკურენცია
გ) სიმბიოზი დ) მტაცებლობა

2. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას იწვევს ვირუსი?
I – შიდსს II – გრიპს III – ტუბერკულოზს
ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და II დ) მხოლოდ I და III

3. ჩამოთვლილთაგან გულმკერდის ღრუში მდებარეობს:
ა) ხახა ბ) ფილტვები გ) თორმეტგოჯა ნაწლავი დ) კუჭი

4. ორგანული ნივთიერებების დაშლა საჭმლის მომნელებელ არხში ხდება:
ა) ჰორმონებით ბ) ვიტამინებით
გ) ფერმენტებით დ) ანტისხეულებით

5. სისხლის რომელი უჯრედები მონაწილეობენ ჟანგბადის გადატანაში?
ა) ლიმფოციტები ბ) თრომბოციტები
გ) ერითროციტები დ) ფაგოციტები

პასუხები: 1.დ; 2.გ; 3.ბ; 4.გ; 5.გ

## ისტორია

1. შავი ზღვის რომელ სანაპიროზე მდებარეობდა ქალაქი დიოსკურია?
ა. სამხრეთ ბ. ჩრდილოეთ გ. აღმოსავლეთ დ. დასავლეთ

2. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა წმინდა ნინო?
ა. II ბ. IIII გ. IV დ. V

3. რომელ წელს მოხდა დიდგორის ბრძოლა?
ა. 1115 ბ. 1118 გ. 1121 დ. 1122

4. რომელი ციხე აიღეს აჯანყებულმა პარიზელებმა 1789 წლის 14 ივლისს?
ა. ლა-როშელის ბ. იფის გ. ორლეანის დ. ბასტილიის

5. საქართველოს დატოვების შემდეგ რომელ ქვეყანას შეაფარა თავი ვახტანგ VI-მ?
ა. საფრანგეთს ბ. რუსეთს გ. ოსმალეთს დ. იტალიას

სწორი პასუხები: 1.გ; 2.გ; 3.გ; 4.დ ; 5.ბ.

## გეოგრაფია

1. რომელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ცენტრი?
ა. ონი ბ. ცაგერი გ. ლენტეხი დ. ამბროლაური

2. რომელი მდინარე ჩაედინება შავ ზღვაში?
ა. ალაზანი ბ. ენგური გ. არაგვი დ. ლიახვი

3. რომელი ქვეყნის კონტურია მოცემული ნახატზე?

ა. გვატემალა ბ. კუბა გ. პუერტო-რიკო დ. ტრინიდადი და ტობაგო

4. რა ეწოდება მდინარი წყლის მიერ ნიადაგისა და ქანების გადარეცხვას?
ა. კონდენსაცია ბ. აბრაზია გ. აერაცია დ. ეროზია

5. გამოიყენეთ ცხრილი და უპასუხეთ დასმულ შეკითხვას.

| | ზამთარი | გაზაფხული | ზაფხული | შემოდგომა |
|---|---|---|---|---|
| A პუნქტი | – 12°C | –3 °C | 13°C | – 4°C |
| B პუნქტი | 23°C | 17°C | 9°C | 19°C |
| C პუნქტი | – 2°C | 14°C | 24°C | 13°C |
| D პუნქტი | 0°C | 16°C | 21°C | 15°C |

რომელი პუნქტის საშუალო ტემპერატურის წლიური ამპლიტუდაა ყველაზე მაღალი?
ა. A პუნქტი ბ. B პუნქტი გ. C პუნქტი დ. D პუნქტი

სწორი პასუხები: 1.დ; 2.ბ; 3.ბ; 4.დ; 5.გ.

## ფიზიკა

1. უძრავი მანქანა იწყებს წრფივ მოძრაობას 2 მ/წმ$^2$ აჩქარებით. რა დროში გაივლის იგი 36 მ-ს?
ა) 3 წმ ბ) 6 წმ გ) 9 წმ დ) 18 წმ

2. რამდენჯერ გაიზრდება სხეულის იმპულსი მისი კინეტიკური ენერგიის ორჯერ გაზრდისას?
ა) $\sqrt{2}$ -ჯერ ბ) 2-ჯერ გ) 4-ჯერ დ) პასუხი დამოკიდებულია სხეულის მასაზე

3. იპოვეთ ერთგვაროვანი სითხის სიმკვრივე, თუ მასში ყოველი 5 სანტიმეტრით ჩაძირვისას წნევა 400 ნ/მ$^2$-ით იმატებს.
ა) 200 კგ/მ$^3$ ბ) 800 კგ/მ$^3$ გ) 1250 კგ/მ$^3$ დ) 2000 კგ/მ$^3$

4. რისი ტოლია 3 ომი და 6 ომი წინაღობის გამტარები მიმდევრობით შეერთების შედეგად მიღებული წინაღობა?
ა) 0,5 ომი ბ) 2 ომი გ) 3 ომი დ) 9 ომი

5. სინათლის სხივი ჰაერიდან ეცემა მინას. დაცემის კუთხეა 3$^o$. რისი ტოლი შეიძლებაიყოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან გარდატეხის კუთხე?
ა) 2$^o$ ბ) 3$^o$ გ) 4$^o$ დ) 5$^o$

სწორი პასუხების ცხრილი

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ა | | X | | | X |
| ბ | X | | X | | |
| გ | | | | | |
| დ | | | | X | |

## ქიმია

1. რომელი ქიმიური ელემენტია გამოსახული საბავშვო საღეჭი რეზინის ეტიკეტზე?




ა) კალიუმი
ბ) კალციუმი
გ) კადმიუმი
დ) კალა

2. რომელი ელემენტის რიგობრივი ნომერია 23?
ა) Na ბ) Mg გ) B დ) V

3. მოლეკულების ბურთულოვანი მოდელებიდან, რომელი შეესაბამება წყლის მოლეკულას?




4. ბუნებრივი აირი ძირითადად მეთანისგან ($CH_4$) შედგება.
რომელი ნაერთები მიიღება მეთანის სრული წვის შედეგად?
ა) CO და $H_2$ ბ) CO და $H_2O$ გ) $CO_2$ და $H_2$ დ) $CO_2$ და $H_2O$

5. მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნივთიერება, რომლის ფორმულაა:
$CaCO_3$
ეს ნივთიერება მიეკუთვნება:
ა) ფუძე ოქსიდებს ბ) მჟავა ოქსიდებს
გ) ფუძეებს დ) მარილებს

6. მოცემულია ელემენტთა პერიოდული სისტემის ერთ-ერთი უჯრა.




რას გვიჩვენებს რიცხვი 14 ამ უჯრაში?
I – ფარდობით ატომურ მასას
II – რიგობრივ ნომერს
III – ატომბირთვის მუხტის სიდიდეს
ა) I- ს და II-ს ბ) I-ს და III-ს
გ) II-ს და III-ს დ) სამივეს

7. რამდენი ელექტრონი აქვს ფოსფორის ატომს გარე ელექტრონულ შრეზე?




ა) 1 ბ) 3 გ) 5 დ) 7

8. ერთი და იმავე მასის ქვანახნშირის ნატეხი და მისი ფხვნილი დაწვეს სხვადასხვა პირობებში:

I – ნატეხი დაწვეს ჟანგბადში; II – ნატეხი დაწვეს ჰაერში
III – ფხვნილი დაწვეს ჟანგბადში; IV – ფხვნილი დაწვეს ჰაერში
რომელ შემთხვევაში გამოიყოფა უფრო მეტი რაოდენობით სითბო?
ა) I და II ბ) I ა III
გ) III და IV დ) ოთხივე შემთხვევაში ერთნაირი რაოდენობით გამოიყოფა

9. მოცემულია რეაქციის ტოლობა: $Ba(OH)_2 + H_2SO_4 \rightarrow ... + 2H_2O$

ტოლობაში გამოტოვებული ნაერთის ფორმულა იქნება:
ა) $BaSO_3$ ბ) $Ba_2SO_3$ გ) $BaSO_4$ დ) $Ba_2SO_4$

10. მოცუმულია ქიმიური რეაქცია: $3NaOH + H_3PO_4 \rightarrow Na_3PO_4 + 3H_2O$

რამდენი მოლი მარილი მიიღება, თუ რაქციაში შევა 1 მოლი
ა) 1/3 მოლი ბ) 2/3 მოლი გ) 1 მოლი დ) 3 მოლი

სწორი პასუხები

| ამოცანის № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | ბ | დ | გ | დ | დ | გ | გ | დ | გ | ა |

# არდავიწყება მოყვრისა

„ახალი წლის დადგომას სამშობლოში დაბრუნების იმედით მოუთმენლად ველოდით.“

*აშშ-ში მცხოვრები*
*მეორე თაობის ემიგრანტები*

ამ სიტყვებმა გადაგვაწყვეტინა, ახალი წლის წინა დღეებში, როდესაც საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადღესასწაულო განწყობა სუფევდა, თბილისის 170-ე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელებს ჩაგვეტარებინა ღონისძიება „არდავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომელიც აშშ-ში მცხოვრები მეორე თაობის ემიგრანტების გახსენებას მიეძღვნა.

საღამოს წინ უძღოდა კვლევები, გავეცანით ქართველ ემიგრანტთა პირად ჩანაწერებს, დღიურებს, საავტორო წიგნებს, საგაზეთო სტატიებს. გეოგრაფიული ცნობარის დახმარებით მოვიძიეთ ინფორმაცია გერმანიის, იტალიის, აშშ-ს იმ ქალაქების შესახებ, სადაც ჩვენს ემიგრანტებს უხდებოდათ ცხოვრება. მოვაწყვეთ ექსკურსია ფორაქიშვილების ისტორიულ დარბაზში (ჩეხოვის №3). ჩავატარეთ კონფერენცია. შემდეგ მოვამზადეთ პრეზენტაცია და წარვუდგინეთ აუდიტორიას. დავპატიჟეთ სტუმრები, მათ შორის **გივი ფორაქიშვილისა** და **გიორგი მორალიშვილის** ნათესავები და მეგობრები, რომლებმაც ცხოვრებისეული ფაქტები გაიხსენეს. ყურადღება გავამახვილეთ აშშ-ზე, რომელმაც 1955 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ემიგრანტები შეიკედლა. მათი სახელები გმირობისა და სიმამაცის სიმბოლოდაა ქცეული, მათ მაგალითზე ახალი თაობა სწავლობს.

დამსწრე საზოგადოებას ვესაუბრეთ ბატონების – გივი ფორაქიშვილისა და გიორგი მორალიშვილის ცხოვრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ განშორება ათეულ წლებს ითვლის, მათ წუთით არ გაუწყვეტიათ კავშირი საქართველოსთან, მუდამ დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლით, გაიარეს უმძიმესი წლები და საბოლოოდ აშშ-ში დაფუძნდნენ. უცხო ქვეყანაში ყოფნის მიუხედავად, მათ სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ დავიწყებიათ ქართული ენა, რომლის სიყვარულს ამერიკაში დაბადებულ შთამომავლებსაც უნერგავდნენ.

ამ ორი პიროვნების მიერ განვლილი ცხოვრების გზის გაცნობის შემდეგ, უკეთ ვიგრძენით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის სამშობლო. ეს ორი პიროვნება კი ნამდვილად ღირსია იმისა, რომ მომავალ თაობას ახსოვდეს მათი სახელები.

პროექტის შემდეგ ეტაპზე ვაპირებთ სხვა ემიგრანტთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

*170-ე საჯარო სკოლის*
*IX კლასის მოსწავლეები:*
*ნინო ზივზივაძე, მარი რევიშვილი,*
*ანა ბერაძე, ლილე რევიშვილი,*
*სანდრო ხეთაგური, სოფო თიგიშვილი,*
*კრისტინა გელაშვილი, მირიან გეჭიტაშვილი,*
*თიკო ფოცხვერაძე, სალომე ბერძენიძე*

*პროექტის ხელმძღვანელი ქეთევან ძიძოძე*

❖❖❖

*გივი ფორაქიშვილი*

1922 წლის 23 იანვარს, თბილისში, ჩეხოვის ქუჩაზე მცხოვრებ სონა და სიკო ფორაქიშვილების ისტორიულ დარბაზში კიდევ ერთხელ დაირწა ქართველი ვაჟკაცის გივი ფორაქიშვილის აკვანი.

ბატონი გივი თავის მოგონებებში წერს: *„ჩემს ბებიას და ბაბუას ოთხი შვილიშვილი ჰყავდა და ყველა თავიანთი ოჯახებით ერთად ვცხოვრობდით. ჩვენი სიყვარულით შესისხლხორცებულ ჟრიამულს ეჭირა იქაურობის ყველა კუნჭული“.* მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ეს სიცოცხლით სავსე დარბაზი დროებით დაადუმა. ბიძაშვილ-მამიდაშვილი – **ქუცნა ლორთქიფანიძე** და **გივი ფორაქიშვილი** ომში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ, ქუცნა ლორთქიფანიძე დაიღუპა. გივი ფორაქიშვილის ამბავი კი, 1951 წლამდე, მშობლებისთვის გაურკვეველი იყო. 1956 წელს მოვიდა ბატონი გივის პირველი წერილი. ხოლო მეორე წერილი, ქალბატონმა **ნინო რამიშვილმა** და ბატონმა **ილიკო სუხიშვილმა** ჩამოიტანეს. ფორაქიშვილების დარბაზი ისევ გამხიარულდა.

მანამდე კი იყო ომის მძიმე წლები, ტყვეობა თითქმის მთელ ევროპაში, შემდეგ კი, გერმანიიდან ოჯახთან ერთად ამერიკაში გამგზავრება და დაფუძნება. სწორედ აქ, ქართული კოლონიის კრებაზე გაიცნო გივი ფორაქიშვილმა **სანდრო ბარათელი, გიორგი მორალიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, გიორგი პიტავა, საშა სულხანიშვილი, სიკო ერისთავი, მამია ზაქარაძე, ჯიმშერ ახმეტელი** – ეს არასრული სიაა იმ ქართველებისა, რომლებიც მის წერილში „კარაბადინი“ არიან მოხსენიებულნი, ეს ის ქართველები არიან, ვინც ამერიკის მიწაზე თავისი „ალავერდი“ შექმნეს. ეს იყო ნიუ-იორკიდან 65 მილის დაშორებით მდებარე დასასვენებელი ადგილი, რომელიც სიკო ერისთავის მეთაურობით შეიძინა ქართულმა სათვისტომომ. „ალავერდი“ იყო ქართველებისა და კავკასიელების თავშეყრის ადგილი, სადაც ტარდებოდა საღამოები ფონდისთვის. ბატონი სიკოს გარდაცვალების შემდეგ მამია ზაქარაძე გახდა შეუცვლელი გამგებელი და მომვლელი. სამწუხაროდ, 2004 წელს „ალავერდი“ გაიყიდა. ქართველი ემიგრანტებისთვის და მათი შვილებისთვის ეს იყო წმინდა ადგილი, სადაც თავს ჭეშმარიტ ქართველებად გრძნობდნენ. სწორედ ამიტომ ბატონმა გივიმ ქალიშვილის ქორწილი „ალავერდში“ გადაიხადა.

ცხრა მთას იქით გადაკარგული ემიგრანტები ერთგულად უვლიდნენ „ალავერდს“. *„ყოველ ზაფხულს მე და ილზე ბავშვებით ჩავდიოდით ალავერდში. რასაკვირველია, ჩვენ – ალავერდის წევრები ყოველგვარ სამუშაოს ვასრულებდით. ბალახის კრეჭა, სახურავების შეკეთება, კაბინების შეღებვა, საცურაოს წმენდა და სხვ. ხშირად ვაწყობდით საქველმოქმედო საღამოებს, რათა პატარა შემოსავლით ალავერდის ხარჯები დაგვეფარა“* – წერს ბატონი გივი.

ცხოვრების უკანასკნელი წლები ფლორიდაში გაატარა, მისი ფერფლი დღეს მის სახლშია და ელოდება მიმობნევას მის ორ სამშობლოს – საქართველოსა და ამერიკას შორის.

## თანადგომა

❖❖❖

ყარაჯლის საჯარო სკოლა ახალ 2011 წელს საინიციატივო წინადადებით შეხვდა. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ საკუთარი ძალებით მოამზადა საქველმოქმედო კონცერტი. დაიბეჭდა ბილეთები, გაიყიდა და 23-24 დეკემბერს, სკოლის სპორტულ დარბაზში, ჩატარდა კონცერტი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული ხალხური ცეკვები, ქართულ-აზერბაიჯანული სიმღერები, პაროდიები, სკეტჩები...

კონცერტის ჩატარების შედეგად აღებული 320 (სამას ოცი) ლარით მოსწავლეებმა შეიძინეს საახალწლო საჩუქრები, პროდუქტები, ტკბილეული, ტკბილი სასმელები და სამეურვეო საბჭოს წევრ მშობელთან ერთად ხელდამშვენებულნი ეწვივნენ თელავში, თბილისის გზატკეცილის 15 ნომერში მცხოვრებ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დევნილ 26 ოჯახს. მეტად ამაღელვებელი იყო დევნილების რეაქცია – ცრემლმორეულნი მხურვალე მადლობას უხდიდნენ ბავშვებს გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

*მოსწავლეთა თვითმმართველობა*

❖❖❖

ამ დღისთვის დიდხანს ვემზადებოდით, თადარიგიც ადრე დავიჭირეთ. კლასი ყოველდღე ნელ-ნელა ივსებოდა ბავშვების მიერ შეგროვილი საჩუქრებით: თბილი ტანსაცმლით, სათამაშოებით, წიგნებით, სასწავლო ნივთებით, სხვადასხვა სახის ტკბილეულობით, ხილით, კამფეტებით. ყველას სურდა მონაწილეობა მიეღო და თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ამ კეთილშობილურ საქმეში. მათ სახეებში მზრუნველობა, სიკეთე, სითბო და სიხარული შეიმჩნეოდა. მოუთმენლად ელოდნენ იქ წასვლას.

და აი, დადგა ეს ნანატრი დღეც. გაკვეთილების შემდეგ საჩუქრებით დატვირთული მიკროავტობუსით, ბავშვებთან და მშობლებთან ერთად გავეშურეთ სურამისკენ. მისვლისთანავე ეზოში უამრავი ბავშვის გაბრწყინებული თვალები გამოჩნდა, თითქოს გველოდნენ; ზოგი ფანჯრებიდან იყურებოდა, ზოგი უკვე კარებში იყო და ჩვენთან შესახვედრად გამორბოდა. თბილმა დახვედრამ ჩვენი მოსწავლეები გაათამამა და დიდი ხნის ნაცნობებივით ყველანი ერთად ნაძვის ხით მორთულ დარბაზში აღმოვჩნდით. განსაკუთრებული ყურადღებით შეგვხვდა დირექტორი, ბატონი მევლუდი. ის თბილად მიესალმა იქ მყოფთ და შობა-ახალი წელი მიულოცა.

ბავშვები დამეგობრდნენ, ერთად იმხიარულეს, იცეკვეს, იმღერეს, შემდეგ ოთახები დაათვალიერეს, მისამართები გაცვალეს და ემოციებით დატვირთულები ახლად შეძენილ მეგობრებს დაემშვიდობნენ.

უკან წამოსულებს მათი ფიქრიანი, სევდით სავსე თვალები მოგვყვებოდა.

### შთაბეჭდილებები

**გიგი ჯერიაშვილი**: პირველად ძალიან შევწუხდი, როდესაც დავინახე მათი საცხოვრებელი გარემო, ოჯახების მიღმა ყოფნა, მაგრამ ისინი ჩვენი ნახვით ძალიან გამხიარულდნენ და ისე მიგვიღეს, თითქოს ახლობლები ვიყავით. ჩვენც შევუერთდით მათ საზეიმო განწყობილებას, ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო.

**ანი გზიშვილი**: ძალიან დანაღვლიანებული წამოვედი, რადგან ბავშვები შემეცოდნენ, მათ ხომ ენატრებათ დედა, მამა... მე ბედნიერი ვარ, ჩემი მშობლები ჩემ გვერდით რომ არიან.

**ლექსო ხარატიშვილი**: ყველანი გახარებულები დავბრუნდით შინ, რადგან ვიცოდით, კიდევ ერთი ბედნიერი დღე ვაჩუქეთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

**ანი ასპანაძე**: ყველა ბავშვი ერთმანეთზე უკეთესი იყო, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა ბიჭმა – ბექამ მიიქცია, რომლის თვალებში უსაზღვრო სევდა ამოვიკითხე, ცამეტი წლის იქნებოდა, მაგრამ უკვე გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ცხოვრება.

**მაკა გუჟღულაშვილი**: ბავშვები ძალიან გაახარა ჩვენ მიერ მიტანილმა საჩუქრებმა, განსაკუთრებით კი ყურადღებამ; იმედი მაქვს, მათ კარგი მომავალი ექნებათ, სახელოვანი ადამიანები დადგებიან.

*გორის №7 საჯარო სკოლის*
*VII$^{3}$ კლასის მოსწავლეები და*
*კლასის დამრიგებელი ლია სანდაძე*

# როცა შრომა გიფასდება

2011 წლის დამდეგს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა თავის ქადაგებაში აღნიშნა: მშობლებმა შვილებს სწორად ცხოვრება უნდა ასწავლონო.

თავისთავად არაფერი მოდის. შვილის სწორად აღზრდა დიდ ენერგიას და თავდადებულ შრომას მოითხოვს. მშობლებთან ერთად მომავალ თაობაზე ზრუნვა, უპირველესად, ევალება პედაგოგებს. პატრიარქის სიტყვებმა ჩემი ცხოვრების ნათელი დღეები გამახსენა, როცა მოსწავლეთა აღზრდის სადარაჯოზე ვიდექი. 40 წლის განმავლობაში, ჩემს კოლეგებთან ერთად, ვიღვწოდი მომავალი თაობის აღზრდისათვის... ჩემ თვალწინ გაირბინეს იმ ბედნიერმა დღეებმა, როდესაც მე და ჩემი კოლეგები მოსწავლეთა აღზრდის შუაგულში ვტრიალებდით...

23 წლის ვიყავი, როდესაც პედაგოგობა დავიწყე. ახლა, პენსიაზე მყოფს, მახსენდება სკოლაში ბავშვებთან გატარებული დღეები და მაშინდელი ავ-კარგის ფორმირება. რკინიგზის №2 საშუალო სკოლაში (ამჟამად №74 საჯარო სკოლა) გერმანულ ენას ვასწავლიდი და იმთავითვე ვგრძნობდი, რომ, საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებში სიკეთის აღზრდა იყო მთავარი. რამდენი მოსწავლეც მყავდა, იმდენ ხასიათთან შეწყობა მჭირდებოდა. მე და ჩემს კოლეგებს მეგობრული ურთიერთობა გვქონდა ჩვენს მოსწავლეებთან. სკოლაში მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ამ სკოლამ აღგვზარდა თითოეული მასწავლებელი. აქ გვასწავლიდნენ საგნის სწავლებისა და აღზრდის მეთოდებსა და ხერხებს. ჩვენთვის ყველა რჩეული მოსწავლე იყო და არ მახსოვს რომელიმე უსამართლოდ დამესაჯოს, მესაყვედურებინოს. სკოლაში მოსწავლეთა შორის მომხდარი ყველა შემთხვევა შინ მიმყვებოდა და ბევრი ღამე დამთენებია აღსაზრდელებზე ფიქრით. მწამდა, რომ მასწავლებელს საოცარი ალღო უნდა ჰქონოდა. პედაგოგი მოსწავლის სულს უნდა ჩასწვდომოდა. სიზარმაცე ბავშვსაც უნდა ეპატიოს, მაგრამ შეცდომების გამოსწორება ყოველთვის შეიძლება. მთავარია, მოსწავლეს სწამდეს, რომ მასწავლებელი მასზე უანგაროდ ზრუნავს. ეს პედაგოგმა თავად უნდა შეიმუშაოს, ამას არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ გასწავლის, თუ მოწოდებით მასწავლებელი არ ხარ!

დღეს ჩემი ყოფილი მოსწავლეები: **ლელა ლალიაშვილი** და **მერი ჩუბინიძე** ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ. ოჯახის გაჭირვებამ ოკეანის გაღმა წაიყვანა და იქიდან ცდილობენ თავიანთი ახლობლების დახმარებას. არ ყოფილა არც ერთი დღესასწაული, რომ უკვე 60 წელს მიღწეულ ჩვენს ყოფილ მოსწავლეებს, არ მოელოცოთ და არ გაეხსენებინოთ თავიანთი ხანდაზმული, პენსიაზე მყოფი 80-97 წლის მასწავლებლები: **ვერიკო გობიანიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებელი, რომელმაც მოსწავლეებს თავისი თბილი დამოკიდებულება და სიყვარული გაატანა; **ირინა ჭელიძე**, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელმაც სითბოთი და მაღალი ინტელექტით დაამახსოვრა თავი მოსწავლეებს; **პოლიექტორ ჭელიძე**, რომელსაც საოცარი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეებთან...

ჩვენმა ყოფილმა მოსწავლემ, ლელა ლალიაშვილმა, ამ ახალ წელს მე და ზემოთ დასახელებულ მასწავლებლებს გულთბილად მოგვილოცა და ამერიკიდან საჩუქრებიც გამოგვიგზავნა, რამაც მე და ჩემი კოლეგები ძალიან აგვაღელვა და ცრემლები მოგვადინა. ჩვენთვის მთავარი საჩუქრები კი არა, ისაა, რომ ყოფილ მოსწავლეებს ვახსოვართ, ვუყვარვართ. ჩვენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ჩვენთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის უფროა, რომ ლელა ქველმოქმედებას ეწევა და ეხმარება თანამემამულეებს ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში.

ჩემს ახალბედა კოლეგებს ვურჩევ, რომ ცოდნასთან ერთად, უფრო მეტი გულისხმიერება და სითბო გამოიჩინონ თავიანთი აღსაზრდელების მიმართ, ასწავლონ სწორად ცხოვრების წესი, რომ კეთილი ნაყოფი მიიღონ.

*ლამარა მუჯირიშვილი*
*პენსიონერი პედაგოგი*

# სასკოლო პროექტი „მიუსაფარნი“

21-ე საუკუნის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების ფონზე შეიცვალა მოსწავლის დამოკიდებულება სკოლისადმი, მასწავლებლებისა და თანატოლებისადმი. ამას მრავალი მიზეზი აქვს. მიგვაჩნია, რომ დღევანდელ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავაძლიეროთ ბავშვებს შორის ფსიქოლოგიური კავშირები, განუვითაროთ მათ კომუნიკაციის უნარები... შესაბამისად, საჭიროა დამატებითი მოტივაციის მოფიქრება, რომელიც გაზრდის მათში პასუხისმგებლობას და ინიციატივას. მნიშვნელოვანია მოვნახოთ ისეთი გზები, რომელიც უბიძგებს მოსწავლეს იყოს უფრო აქტიური, შემოქმედებითი, გამოიჩინოს ინიციატივა. სასურველია, შეიქმნას ისეთი პროექტები, რომლებში მონაწილეობის სურვილი ექნებათ ბავშვებს და სადაც უკეთ დავინახავთ მათ შესაძლებლობებს.

ამ მიზნით, დიმიტრი უზნაძის სახელობის 22-ე საჯარო სკოლაში, ფსიქოლოგიური სამსახურის მიერ, მომზადდა სოციალური პროექტი „მიუსაფარნი“, რომელშიც მონაწილეობდნენ VII-VIII კლასის მოსწავლეები. პროექტი მიუსაფარი ბავშვების თემას ეხება. ძნელია გულთან ახლოს არ მიიტანო მათი გასაჭირი. ეს ძალიან პრობლემატური საკითხია, რადგან საზოგადოება სრულად ვერ აცნობიერებს საკუთარ დანაშაულს და როლს ამ ბავშვების მიმართ და მათდამი დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარია – ზოგს ეცოდება, ზოგს ეშინია მათი. არადა, მნიშვნელოვანია, რომ ამ ბავშვებმაც საზოგადოების წევრებად იგრძნონ თავი.

პროექტის ზოგადი მიზანი მოსწავლეთა ფსიქოსოციალური განვითარების ხელშეწყობა და შემოქმედებითი უნარის წახალისებაა. ასევე მნიშვნელოვანია მოცემულ თემაზე მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების გადმოცემის უნარის განვითარება. სასურველია, ბავშვებმა იფიქრონ თანატოლების ბედზე, გამოიჩინონ მათ მიმართ თანადგომა, რათა მიიღონ და გაიცნონ ისინი. საინტერესოა VII-VIII კლასის მოსწავლეების თვალით დანახული მიუსაფარნი.

პროექტის მიმდინარეობისას დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობები: ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, ნახატების შექმნა, ფოტონამუშევრების მოძიება, თემატური კომპოზიციების, თვალსაჩინოების მომზადება, ვიდეორგოლის შექმნა და თემების მომზადება.

მოსწავლეთა უმრავლესობა სიამოვნებით ჩაება ამ პროექტში, შეგროვდა მასალა, დაიწერა თემები, გაკეთდა თვალსაჩინოებები, მომზადდა ვიდეოკლიპი. ნამუშევრების შეგროვების შემდეგ, მოვაწყვეთ მათი განხილვა-პრეზენტაცია, ბავშვები ერთმანეთის ნამუშევრებს გაეცნენ, წაიკითხეს ყველაზე საინტერესო მოსაზრებები, ნახეს მათივე თანაკლასელების მიერ მომზადებული ვიდეოკლიპი. საუკეთესო მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ. ყველას სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და სხვათა ღირსებების დანახვა, საერთო სიხარულის, თანადგომის და თვითრეალიზაციის შეგრძნება, რაც თან ახლდა პროექტის პრეზენტაციას.

პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა ნამუშევრები სკოლაში გამოიფინა.

მსგავსი ღონისძიებების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო სახალისო ხდება, მოსწავლეები კი – უფრო აქტიურები. ბავშვები ემოციურ გამოცდილებას იღებენ, სხვებთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება უადვილდებათ. ასეთი პროექტები ფსიქოლოგებს გვეხმარება უფრო ხშირი კონტაქტი გვქონდეს მოსწავლეებთან, უკეთ გავიცნოთ ისინი და მათთან სანდო და მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ.

**გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს**
**ბავშვების მოსაზრებებიდან:**

### გიორგი ჯიჯელავა

VII კლასი

მოწყენით წვიმდა. ერთ დუქანთან საფუნთუშის მეპატრონე ღანძღვა-ყვირილით იშორებდა ორ პერანგჩამოხეულ, ტიტველფეხება, თმაგაბურძგნულ, მტვრიან ბალღს, რომლებიც გულის ძგერით შეჰყურებდნენ ახლად გამომცხვარ ფუნთუშებს...

– აქ არ დაგინახოთ, თქვე მაწანწალებო, მოშორდით აქაურობას. არ გააწყალეს გული... – ყვიროდა გაცოფებული მეფუნთუშე.

ცხოვრება ბრძოლა არისო, გამიგონია, მაგრამ ვისთვის როგორ, ვისთვის რა არის ბრძოლა, ვისთვის რა. ვინ რისთვის ან ვისთვის იბრძვის, ვინ იცის...

სითბო დედის თითებისა მათ ამ წუთში მთელ დედამიწას ერჩივნათ. თუნდაც ტირილი დედის მკერდზე, რომელიც რაღაც უჩვეულო ძალით შთანთქავს ხოლმე სიცივეს, დაბუდებულს შვილის სხეულში. ღმერთო, რა უსუსურები, უმწეოები, სითბოს მოკლებულები, მაგრამ მაინც კეთილები იყვნენ ეს პატარები ამ სოფლის წინაშე. ეძებენ სიყვარულს – იღებენ ზიზღს, ეძებენ სითბოს – იტანენ სიცივეს. ახლა კი, მაწვალებს კითხვა – რატომ? და არც არის ვინმე, ვინც პასუხს გამცემს. ეს მათთვის არის სამყარო, მუქ ფერებში ჩაცმული...

### ჟანა თოდუა

VII კლასი

ღმერთი ყველა ადამიანს სხვადასხვაგვარ ბედს უმზადებს. ზოგი მათგანის ცხოვრებისეული გზა ვარდებით, ხოლო ზოგის კი ეკლებითაა მოფენილი. ამ ყველაფრის მიუხედავად უფალი ყოველ ღვთის შვილს კეთილ მფარველ ანგელოზს უვლენს, რომელიც მას იცავს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტში სიტყვა „მიუსაფარი“ არავისზე არ ითქმის, მას შეიძლება მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭოთ. სამწუხაროდ, დღესდღეობით საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მიუსაფრებს ვუწოდებთ. ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ მზრუნველობას, მოვლას, პატივისცემას, ყურადღებას, სიყვარულსა და თანაგრძნობას.

ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია საზოგადოების ერთიანი ქმედებითა და სახელმწიფოს ჩარევა-დახმარებით. დღეს ეს პრობლემა აერთიანებს მთელ მსოფლიოს და ყველა თავისებურად ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას. მეც ერთერთი მათგანი ვარ, ვისაც სურს, საკუთარი მოქმედების შედეგად ერთი ბავშვი მაინც გახდეს ბედნიერი. ეს ყველაფერი ჩემს მომავალ გეგმებზე აისახება და თუ მე მექნება შესაძლებლობა, ამ ადამიანებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ დახმარებას გავუწევ.

### თაკო რუსეიშვილი

VIII კლასი

ბავშვთა სახლში უამრავი მიუსაფარი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვი ცხოვრობს... ასეთი ბავშვები საზოგადოებისაგან, პირველ რიგში, სიყვარულს, სითბოსა და თანადგომას ელიან. ჩვენი ვალია, შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მიუსაფარ ბავშვებს, რომ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბდნენ. ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის შვილები და მომავალნი არიან. ჩვენ ისედაც პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ და დასაკარგი შვილები არ გვყავს.

ჩემი აზრით, სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს მიუსაფარი ბავშვების კეთილდღეობაზე. საზოგადოება უნდა შეეცადოს, ამ პატარა ადამიანებს გაულამაზოს ცხოვრება და დაუბრუნოს წართმეული ბავშვობა.

### გესო ელიაძე

VII კლასი

უფროსებისაგან ხშირად გამიგონია, ბავშვობა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი და უდარდელი ხანააო. ლამაზი და მხიარული მართლაც არის, მაგრამ თუ კარგად დავუფიქრებით, „უდარდელს“ ალბათ ბევრი ჩემი თანატოლის ცხოვრებას ვერ დავარქმევდი... ისინიც ჩემსავით ჩვეულებრივი ბავშვები არიან, თანატოლებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ თითქმის ყველას თავისი მეტად უცნაური და სევდიანი ისტორია აქვს. მათ ხშირად შეხვდებით მიწისქვეშა გადასასვლელების კიბეებზე, მეტროს ვაგონებსა და მიტოვებულ ნაგებობებში. უმრავლესობას ტანზე ძველი, დაფლეთილი და ულამაზო ტანსაცმელი აცვია. გამვლელებისაგან დახმარებას ითხოვენ...

ამ ბავშვების უმრავლესობას სევდიანი თვალები და საბრალო გამოხედვა აქვს. ყველა ჩვენგანის ვალია, დავეხმაროთ მათ, გავუზიაროთ სითბო, სიყვარული და ვიზრუნოთ თითოეულ მათგანზე. ბავშვებო! არ დაგავიწყდეთ, ისინი ჩვენგან ყველაზე მთავარს – თანადგომასა და სიყვარულს ელიან!

### ნიკა ბენდიუკი

VIII კლასი

თუნდაც გაგიღიმოს, მაინც ამოიკითხავ მის თვალებში სევდასა და ნაღველს. და ეს ნაღველი გამოწვეულია იმ დიდი ტკივილით, რასაც მიუსაფრობა ჰქვია. არავინ ზრუნავს მასზე, არავის ებრალება. იქნებ კიდეც ჰყავს მშობელი, მაგრამ...

მე, რა თქმა უნდა, მებრალებიან ისინი, მებრალებიან, როგორც უქონელნი, რომელთათვისაც ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეულა. ხშირად მიფიქრია, რა დააშავეს, რატომ გაჩნდნენ სატანჯველად-მეთქი?.. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი მუდამ გაუცემელი მრჩება.

მინდა გულით დავეხმარო ყველა ასეთ ბავშვს. ამ ეტაპზე მათთვის ბევრი არაფრის გაკეთება შემიძლია, ვინაიდან ჯერ ბავშვი ვარ. მომავალში კი, აუცილებლად მოვიფიქრებ რამეს. ღმერთმა ქნას, ბევრი შევძლო... ნეტავ როდის დადგება ის დრო, როცა საქართველოს არც ერთი მიუსაფარი არ ეყოლება!

*სოფო კოგაიძე*
*დიმიტრი უზნაძის სახელობის*
*22-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი*

საუბრები ბიბლიაზე

# სოდომი და ჯოჯოხეთი

რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

აბრაამი განსაკუთრებულია, იგი უფლის რჩეულია: „რადგან... უბრძანებს თავის ძეებს და თავის სახლს თავის შემდეგ, და დაიცავენ უფლის გზებს, რომ აღასრულონ სამართალი და მსჯავრი;...“ (დაბ.18:19). უფლის რჩეულობა კი პიროვნებისთვისაც და ხალხისთვისაც დიდი მადლი და პასუხისმგებლობაა. უფლის მსახურება, რწმენა და მისი სამართლის აღსრულება რჩეულის უპირველესი საზრუნავია. უფალი ცხადად აუწყებს თავის რჩეულთ, რის გაკეთებასაც აპირებს.

აბრაამმა საგანგებო სტუმრები გააცილა. „და ადგნენ იქიდან კაცები და გადახედეს სოდომისა და გომორის სახეს...“ (დაბ. 18:16). ჩაესმა აბრაამს უფლის სიტყვები: „ღაღადება სოდომისა და გომორისა გამრავლდა და მათი ცოდვები დიდია ძლიერ; ამიტომ ჩავალ და ვნახავ, ჩემამდე მოღწეული მათი ღაღადებისამებრ თუ იქცევიან, ხოლო თუ არა – მეცოდინება. და გაბრუნდნენ იქიდან კაცები და წავიდნენ სოდომში, ხოლო აბრაამი ისევ იდგა უფლის წინაშე“ (დაბ.18: 20-22).

სოდომი და გომორი ზნედაცემული, ურწმუნო ადამიანებით დასახლებული ქალაქები იყო. მათი ცოდვიანი საქმეების შესახებ იმ მხარეში ყველამ იცოდა. ღაღადება, კი, რომელიც ცას სწვდებოდა იმ ბილწი აზრების გამოძახილი იყო, რომელიც იქაურებს თავში უტრიალებდათ. ადამიანები, ვისაც სოდომელები და გომორელები აწამებდნენ, კლავდნენ, შეურაცხყოფდნენ, სასოწარკვეთილ ღაღადში ასრულებდნენ თავიანთ ცხოვრებას. მათი ტირილი ცას სწვდებოდა, მაგრამ მხოლოდ ეს არა. ისიც ცნობილია, რომ გონებაში გაელვებული თითოეული აზრი ერთგვარ ხმას ბადებს. თუ აზრი კეთილი და მართალია, მისი ხმა კეთილხმოვან ჰარმონიად ლივლივებს, ხოლო თუ თავში ბოროტებამ, უხამსობამ, უგუნურებამ დაისადგურა, მაშინ სიბინძურით გაჟღენთილი ხმოვანებაც დისჰარმონიულ, ველურ, ქაოსურ ბგერებად გროვდება და კაკაფონიურ მოთქმად ადის ცაში. ასე რომ, ცოდვილი ქალაქებიდან ტანჯულთა და მტანჯველთა ცოდვილმა ღაღადმა შეაშფოთა უფალი.

უფლისთვის არაფერია დაფარული და დამალული. ის ყველაფერს ხედავს, არ საჭიროებს „ჩასვლას და ნახვას“. ეს გამონათქვამი ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას ნათქვამს გვაგონებს („აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ“ (დაბ.11:7). ასეთ შემთხვევებში უფალი ერთგვარ შანსს აძლევს ქალაქის მცხოვრებლებს და ვერდიქტის გამოტანამდე გამოცდას უტარებს მათ, საბოლოო არჩევანის წინაშე წარადგენს.

აბრაამი ნათელმხილველია და მისთვის ცნობილია რას ნიშნავს უფლის ეს სიტყვები. აბრაამი კაცთმოყვარეა, უყვარს მოყვასი და ზრუნავს ადამიანებზე. ამიტომაც ძნელად წარმოუდგენია, რა მოჰყვება ღვთის ნების აღსრულებას. ცდილობს, გული მოულბოს უფალს და ღვთის რისხვა აარიდოს განწირულ ქალაქებს. „და მიუახლოვდა აბრაამი და უთხრა: ნუთუ დაღუპავ მართალს უღვთოსთან ერთად და იქნება მართალი, როგორც უღვთო? თუ იქნება ორმოცდაათი მართალი ქალაქში, დაღუპავ მათ? არ დაინდობ მთელ იმ ადგილს ორმოცდაათი მართალის გამო, თუ იქნებიან მასში?“ (დაბ.18:23-24).

აბრაამი უფალს უწმინდურთა გამო ევედრება და არწმუნებს, რადგან უცილობლად იცის – ღვთისმოსავნი გადარჩებიან, მათ არ გასწირავს უფალი. ის „მთელი იმ ადგილისათვის“ შესთხოვს პატიებას და საყვედურსაც კი ჰბედავს უფალს: „არ ეგების შენგან ეს საქმე, რომ მოაკვდინო მართალი ბოროტეულთან ერთად და არ იყოს გარჩევა მართალსა და ბოროტეულს შორის. არ ეგების! არ იქნება, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა სამართლიანად არ განსაჯოს“ (დაბ.18:25).

პასუხი აბრაამის შეკითხვაზე ღვთის მართლმსაჯულების საუკეთესო თვალსაჩინოებაა: „...თუ ვპოვე სოდომ-ქალაქში ორმოცდაათი მართალი, შევიწყალებ მთელს მაგ ადგილს მათი გულისათვის“ (დაბ.18:26). მაგრამ თავად აბრაამსაც ეპარება ეჭვი ზნედაცემულ ქალაქში ორმოცდაათი ღვთისმოსავის მოძიებაში, ამიტომ კიდევ უფრო კადნიერდება და კვლავ განაგრძობს დიალოგს უფალთან: „მიუგო აბრაამმა და უთხრა: აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი, მე, მტვერმა და ნაცარმა“ (დაბ.18:27), ახლა უკვე ორმოცდახუთი მართებულისთვის შესთხოვს ქალაქის გადარჩენას. ამის პირობასაც რომ მიიღებს, ოცდაათის, ოცის და ბოლოს „უთხრა აბრაამმა: ნუ გამიწყრება უფალი და ამ ერთხელაც ვიტყვი: ათი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ დავღუპავ იმ ათის გულისათვის. წავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან. აბრაამიც დაბრუნდა თავის ადგილას“ (დაბ.18:32-33). ეს ეპიზოდი ბიბლიაში ღმერთთან დიალოგის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი და ამაღელვებელი ნიმუშია.

დღესაც, იუდეური კანონმდებლობით, იმისათვის, რომ უფალმა მორწმუნეთა სათხოვარი შეისმინოს, ისინი სულ მცირე ათნი მაინც უნდა იყვნენ, რადგანაც ათი მართალი ადამიანი ეს ის ძალაა, რომელსაც ცოდვილი ქალაქის გადარჩენაც კი შეუძლია.

ამასობაში სოდომში მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა.

სოდომის შესასვლელში ლოთი თავისი კარვის კართან იჯდა და გამვლელ-გამომვლელს მოელოდა. „შევიდა ორი ანგელოზი სოდომში საღამოს; ხოლო ლოთი იჯდა სოდომის კარიბჭესთან. და დაინახა ლოთმა და წამოდგა მათ შესაგებებლად და თაყვანი სცა პირით მიწამდე“ (დაბ.19:1).

გადმოცემის მიხედვით, სოდომში მოხვედრილ უპოვარს ქალაქის მკვიდრნი მოწყალების ნაცვლად მეტალის ნატეხს აძლევდნენ, რომელზედაც ამოტვიფრული იყო პატრონის ნიშანი. პურის ან რაიმე საკვების მოწყალების სახით მიცემა თავად მოქალაქეების მიერ ისჯებოდა. ხოლო მას შემდეგ, როდესაც მაწანწალა შიმშილით დაიღუპებოდა, მეტალის პატრონები რიგრიგობით მიდიოდნენ დაღუპულთან და თავიანთ „მოწყალებას“ იბრუნებდნენ. ის, ვინც მაწანწალას დახმარებას გაბედავდა, საშინელი ტანჯვით სიკვდილის საფრთხის წინაშე იდგა. მას თანამოქალაქენი ცოცხლად დაწვავდნენ. ამიტომაც, ლოთი ქალაქის კართან დადარაჯებული ეგებებოდა მგზავრებს და მათი გეზის შეცვლას ცდილობდა. თუ ამას ვერ ახერხებდა, მაშინ უჩუმრად, თავისთან სახლში მიჰყავდა, რითიც საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა. „და უთხრა: აჰა, ბატონებო, გადმოუხვიეთ თქვენი მონის სახლისკენ და დაისვენეთ და დაიბანეთ თქვენ ფეხები და ადრე ადექით და წადით თქვენს გზაზე. და თქვეს: არა, მოედანზე დავისვენებთ. და აიძულა ისინი და გადაუხვიეს მასთან და მოუმზადა მათ სასმელი და ხმიადები გამოუცხო მათ და ჭამეს“ (დაბ.19:2-3). ცოტა ხანში გამძვინვარებული ქალაქელები: ახალგაზრდები და მოხუცები ყოველი მხრიდან გარს შემოეხვივნენ ლოთის სახლს და მოითხოვეს სტუმრების მათთვის გადაცემა. „და გამოუხმეს ლოთს და ეუბნებოდნენ მას: სად არიან კაცები, რომლებიც მოვიდნენ შენთან ღამით? გამოიყვანე ისინი ჩვენთან, რათა თანავეყოთ მათ“ (დაბ.19:5). ამ ეპიზოდში კარგად ჩანს სოდომელების სრულიად ამაზრზენი მორალური და ზნეობრივი სახე. შეშფოთებული ლოთი ცდილობს დაიცვას სტუმრები, რათა არ მოისმინონ მათ მომხვდურთა უტიფრობა. ლოთმა კარი გამოიხურა და კარის ზღურბლზე გამოვიდა. „და უთხრა მათ: არა, ძმებო, არ ჩაიდინოთ ბოროტება. მყავს მე ორი ასული, რომელთაც არ შეუცვნიათ მამაკაცი; გამოვიყვან მათ თქვენთან და მოექეცით მათ როგორც გესიამოვნებათ თქვენ. მხოლოდ ამ კაცებს ნუ მოექცევით უსამართლოდ, რადგან შემოვიდნენ ჩემი სახლის ჭერქვეშ“ (დაბ.19:7-8). ვერ დაარწმუნა ლოთმა მომხვდურნი, განრისხდნენ სოდომელები, მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა არ იკმარეს და მიეჭრნენ კარის შესამტვრევად. „და გაიწოდეს კაცებმა ხელები და შეიტაცეს ლოთი თავისთან სახლში და სახლის კარი ჩაკეტეს; ხოლო კაცებს, რომლებიც იყვნენ სახლის კართან, დამართეს სიბრმავე დიდიდან პატარამდე; და დაიღალნენ კარის ძებნით“ (დაბ.19:10-11). ბიბლიის თანახმად უწმინდურთა სასჯელი მათი შინაგანი მდგომარეობის გარეგანი გამოხატულებაა. სოდომელები სულიერად ბრმანი იყვნენ, მათი სასჯელიც ფიზიკურ სიბრმავეში გამოვლინდა. სიბრმავეს მალევე მოჰყვა ფიზიკური სიკვდილიც. რადგან ამ ბოლო ნაბიჯით, თითოეული მათგანი მძორად ქცეულიყო.

„და უთხრეს კაცებმა ლოთს: გყავს შენ ვინმე აქ? სიძეები ან ძეები, ან ასულები? ან, თუ სხვა ვინმე გყავს შენ ქალაქში, გაიყვანე ამ ადგილიდან, რადგან დავაქცევთ ჩვენ ამ ადგილს, რადგან ამაღლდა მათი ღაღადება უფლის წინაშე, და მოგვავლინა ჩვენ უფალმა მის მოსასპობად“ (დაბ.19:12-13). ლოთი, რომელიც სოდომის ერთადერთი გამორჩული მართლმორწმუნე იყო, ცდილობდა ექადაგა სოდომელებისათვის ღვთის რწმენის საკუთარი გზა. აბრაამისგან განსხვავებით, მას ამისათვის უფლის კურთხევა არ მიუღია. მიაჩნდა, რომ ეს არც სჭირდებოდა. ამიტომაც ვერც ერთი სოდომელი ვერ მოაქცია ჭეშმარიტ გზაზე. სულიერი საყდარი, რომელიც ლოთმა ღმერთის ხელდასხმის გარეშე ააგო, ვერ უძლებს გამოცდას და სრულიად ნადგურდება. მას თავისიანი ამ ქალაქში ერთი კაციც არ ეგულება. სიძეებმაც კი არ მოუსმინეს, ეგონათ ხუმრობსო. მხოლოდ ოჯახის წევრები – მეუღლე და ასულები გაჰყვნენ. „და შეძრწუნდნენ; და მოჰკიდეს ანგელოზებმა მის ხელს და მისი ცოლის ხელს და მისი ორი ასულის ხელებს, რადგან შეიბრალა უფალმა იგი“ (დაბ.19:16). უფალი დაჰპირდა აბრაამს, ათი მართალი კაცის გამო არ გასწირავდა მთელ ქალაქს, სოდომში კი მართალი და ღვთის მორწმუნე მხოლოდ ოთხი ადამიანი აღმოჩნდა.

„და იყო, როცა გაიყვანეს ისინი გარეთ, უთხრეს: გადარჩენით გადაირჩინე შენი სული; ნუ მიიხედავ უკან, ნურც გაჩერდები მთელ შემოგარენში; მთაში გადარჩი, რათა არ გაიზიარო მათი ხვედრი“ (დაბ.19:17). სულიერი განვითარების მთავარი მამოძრავებელი წინსწრაფი მოძრაობაა. უკან მოხედვა, წარსულზე სინანული ერთ ადგილზე დგომას, „გაქვავებას“ ნიშნავს. მთა სიმაღლეა, მწვერვალია, უფლის შემეცნების გზაა. ლოთსაც ურჩევს ანგელოზი არ გაჩერდეს, „მთას შეეფაროს“.

„და უთხრა ლოთმა მათ: გევედრები უფალო, რადგან პოვა შენმა მონამ წყალობა შენ წინაშე და განადიდე შენი სიმართლე, რომელსაც აღასრულებ ჩემზე, რათა იცოცხლოს ჩემმა სულმა – ხოლო მე ვერ შევძლებ გადარჩენას მთაში, ვაითუ მეწიოს მე ბოროტება და მოვკვდე“ (დაბ.19:18-19). მოულოდნელია ლოთის პასუხი. მიუხედავად მომხდარისა ის ისევ არ ენდობა უფალს და არ მიჰყვება მის ნებას. თავშესაფრად პატარა ქალაქ ცოღარს ირჩევს და იქითკენ მიეშურება. „აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი“ (დაბ.19:24-25). სოდომისა და გომორის განადგურების ბიბლიური აღწერა ატომურ აფეთქებას ჰგავს. სრულიად გაცამტვერდა ორივე ქალაქი, დაიღუპა ყოველივე ცოცხალი. მას შემდეგ, იმ ადგილას მკვდარი ზღვაა, მასში ვერც ერთი სულდგმული ვერ ცოცხლობს. ლოთის ცოლმა არ დაიჯერა უფლის სიტყვა, ვერ გაუძლო ცდუნებას, უკან მოიხედა და იქცა მარილის სვეტად.

ქრისტე მომავალი უბედურებების თავიდან ასაცილებლად გვაფრთხილებს: „იმ დღეს, ვინც ერდოზე იქნება, ხოლო მისი ნივთები – სახლში, ნუ ჩამოვა ძირს მათ წასაღებად; ხოლო ვინც მინდვრად იქნება, ასევე ნუ მიბრუნდება უკან“ (ლუკ.17:31-32).

მკვდარი ზღვის მიდამოებში კი მართლაც დგას რამდენიმე მარილის სვეტი. ერთი მათგანი საოცრად წააგავს ქალის სხეულს. გადმოცემის მიხედვით სწორედ ის არის ლოთის ცოლი.

პეტრე მოციქული ამბობს: „თუ გასწირა სოდომისა და გომორის ქალაქები, ფერფლად აქცია და მომავალ უღმერთოთა ნიმუშად დადო ისინი, ხოლო მართალი ლოთი ურჯულოთა უგვანი ქცევით განამებული, იხსნა (ვინაიდან მათ შორის მცხოვრები ეს ალალ-მართალი ყოველდღე იტანჯებოდა თავისი მართალი სულით, როცა ხედავდა და ისმენდა მათ ურჯულოებას), – მაშასადამე, იცის ღმერთმა, როგორ დაიხსნას ღვთისმოსავნი განსაცდელისაგან, უკეთურნი კი განკითხვის დღისათვის შემოინახოს განსასჯელად;“ (II პეტრ. 2:6-9).

# ბათუმური დღიურები

წელს განსაკუთრებული ახალი წელი იყო ჩემთვის – აკრობატებს ბათუმის გრანდიოზულ კონცერტში მონაწილეობა შემოგვთავაზეს, ჩვენც დავთანხმდით და დავიწყეთ მზადება 31 დეკემბრისთვის. შეგვიდგინეს ახალი კომპოზიცია, შეგვიკერეს ახალი კოსტიუმები. ყოველდღე ვამუშავებდით კომპოზიციებს, გვქონდა ორმაგი ვარჯიშები. 29 დეკემბერს სისხამ დილით წავედით ჩაქვში, დაგვაბინავეს სასტუმრო „ოაზისში“. შემდეგ კი, სარეპეტიციოდ ბათუმში წაგვიყვანეს. ავედით სცენაზე და ჩვენი ნომერი შევასრულეთ. **ლაშა ონიანს**, ღონისძიების რეჟისორს მოეწონა კომპოზიცია, გამოცდილება უკვე გვქონდა – შარშანაც გამოვდიოდით ბათუმში საახალწლო ღონისძიებაზე.

დავიწყეთ გენარალური რეპეტიციები. მოუთმენლად ველოდით 31 დეკემბერს და აი, დადგა ახალი წლის საღამოც, 11 საათზე დაიწყო გრანდიოზული კონცერტი. მართალია, წვიმდა და ციოდა, მაგრამ სცენაზე რომ ავედით, ყველაფერი დამავიწყდა. ამ კონცერტში მონაწილეობდნენ: „სუხიშვილების “ მოცეკვავეები, კუბელი მომღერლები, მოციგურავეები, ბრაზილიელი მოცეკვავეები... და, რაც ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო, მსოფლიო დონის ოპერისა და ბალეტის მომღერალი **ანდრეა ბოჩელი**, ასევე, **სოფო ნიჟარაძე, სოფო ხალვაში, ვაჟა მანია, ნინო ანანიაშვილი** და სხვები. ჩვენი ნომრის შესრულებას ყველაზე მეტი ტაში და ოვაცია მოჰყვა.

12 საათიც შესრულდა, ყველა მონაწილე სცენაზე გამოგვიყვანეს მისალოცად, ამ დროს ცაში თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოჩნდნენ... ცა ულამაზესი ფეიერვერკით იყო განათებული. კონცერტის დასრულებისთანავე წაგვიყვანეს გონიოში ბანკეტზე. საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი **მიხეილ სააკაშვილიც** ჩვენს გვერდით იყო. ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში წარუშლელ მოგონებად დარჩება. მართალია, ბევრი ვიშრომეთ, მაგრამ ნამდვილად ღირდა.

*თიკო პარწიკანაშვილი*
*კერძო სკოლა „სარკმელის“ VII კლასის მოსწავლე*

## თანამედროვე სტანდარტების კვალდაკვალ

პატარძეულის საჯარო სკოლის V კლასში (დამრიგებელი – **ციური ლაფერიშვილი**) ჩატარდა ინტეგრირებული ღია გაკვეთილი ბუნებასა და ისტ-ში (პედაგოგები – **მარიამ ჯავახიშვილი** და **ნინო პარუნაშვილი**).

სკოლის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქალბატონმა **მარიამ ჯავახიშვილმა**, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია თაობათა აღზრდას ემსახურება, თანამედროვე სწავლების სტანდარტის გათვალისწინებით, შემოგვთავაზა არაჩვეულებრივი პროექტი ბუნებისმეტყველებაში. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი.

გაკვეთილის თემა მოიცავდა მთლიანად გალაქტიკას და ხილულ სამყაროს. პლანეტების ბუნება და მათი გეოგრაფიულ-ბიოლოგიური გარემო მოსწავლეების მიერ რეფერატების სახით იქნა წარმოდგენილი. თითოეული მომხსენებელი პროექტორის საშუალებით, შესაბამის სლაიდებს წარმოადგენდა აუდიტორიის წინაშე და საინტერესოდ მოგვითხრობდა ერთი სემესტრის განმავლობაში შემუშავებული და მოპოვებული მასალების შესახებ.

გაკვეთილის ავტორმა, ქალბატონმა მარიამმა თითოეულ მოსწავლეს განსაზღვრული დროის მონაკვეთში შესთავაზა, მათივე ნაშრომებიდან ამოეკრიბათ და წყვილებში შეეჯამებინათ განსაკუთრებულად პრობლემატური საკითხები.

მოსწავლეებმა ამ რთულ დავალებას ადვილად გაართვეს თავი და ღია გაკვეთილზე მოწვეული პედაგოგები დებატებშიც გამოიწვიეს.

განსაკუთრებული ინტერესი მოსწავლეთა მხრიდან მზის სისტემის პლანეტებმა დაიმსახურა. პედაგოგმა კომპიუტერის დახმარებით მათ გალაქტიკის ამოუცნობი ვარსკვლავების სახასიათო ნიუანსებიც უჩვენა, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა მათი კვლევით-შემოქმედებითი დამოკიდებულება შესასწავლი საგნის მიმართ.

მოსწავლეებმა: **ნინი ცხვარიაშვილმა, მარიამ ქვლივიძემ, გიორგი გიუნაშვილმა, ნინო უსტიაშვილმა, თამარ და მარიამ ცხვარიაშვილებმა** და სხვებმა ინტეგრირებული ფორმით წარმოადგინეს მზის სისტემის პლანეტების შესახებ დამოუკიდებლად შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები.

საბუნებისმეტყველო კათედრის წევრმა, სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა **ნათელა როსტომაშვილმა** მოსწავლეთა ამ ნამუშევარს მაღალი შეფასება მისცა და გაკვეთილის დასასრულს გამოთქვა იმედი, რომ ამგვარ ინტეგრირებულ საგაკვეთილო სწავლებაში ღვაწლმოსილი პედაგოგის ჩართულობა სანიმუშო მაგალითად იქცევა ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის.

## საშობაო ზღაპრის კვირეული-კონკურსი

ზღაპრების უჩვეულო სამყარო, ზოგჯერ უფროსებსაც რომ უმსუბუქებს და უხალისებს ცხოვრებას, სასკოლო კვირეულის თემად და იდეად იქცა პატარძეულის საჯარო სკოლაში.

კვირეულის იდეა შობისა და ახალი წლის მოახლოებამ გვიკარნახა. ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელი მენეჯერი **ნინო პარუნაშვილი** იყო.

გადავწყვიტეთ, ზღაპრის კვირეულისთვის კონკურსის სახე მიგვეცა. კონკურსში I-VII კლასების მოსწავლეები ჩავრთეთ.

წარმატებული გამოდგა ზღაპრებში დროებით გადასახლება. თითოეულმა კლასმა წარმოადგინა ინდივიდუალური კომპოზიციები, მონაწილეებმა გამოავლინეს საოცარი არტისტიზმი, შემოქმედებითობა და მუსიკალობა. დამრიგებელთა თავდაუზოგავმა შრომამ მოსწავლეთათვის სასურველი შედეგი გამოიღო. ჟიურის, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის პედაგოგები: **მარინა ჭინჭარაძე, ნათელა გიუნაშვილი** და მე-10 კლასის მოსწავლე **მარიამ ქურხული**, გაუჭირდა გამარჯვებულის გამოვლენა.

ყოველდღე, ერთი კვირის განმავლობაში, სასკოლო სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წითელქუდები, ნაცარქექიები, ჩექმებიანი კატები, ალი-ბაბები...

საშობაო-საახალწლო დევიზად კი ყველას ერთი საერთო სლოგანი ჰქონდა – „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

ზღაპრის კვირეული 25 დეკემბერს დაიხურა საზეიმო ღონისძიებით, რომელიც VII კლასმა წარმოადგინა (დამრიგებელი – **ხათუნა ახვერდაშვილი**).

ამ დღესვე გამოვლინდა კვირეულის გამარჯვებული – VI კლასი (დამრიგებელი – **გულო ელერდაშვილი**), რომელმაც დაწყებითი კლასების მასწავლებლის **ელენე უსტიაშვილის** უშუალო ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივად დახვეწილი სპექტაკლი „ტყის კომედია“ წარმოადგინა. გამარჯვებულს მიენიჭა „წლის საუკეთესო მეზღაპრე კლასის “ ტიტული და გადაეცა გრან-პრი. კვირეულში მონაწილე ყველა კლასში გამოვლინდა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული.

ვფიქრობთ, ამგვარი კონკურსების ჩატარება საჯარო სკოლებში უნდა წავახალისოთ, რადგანაც კლასგარეშე მუშაობაში მოსწავლეთა ჩართულობის აქტივიზაცია მომავალი თაობის შემოქმედებითი და სასწავლო-კვლევითი უნარების გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

## პოეტის გახსენება

დეკემბერი დიდი ქართველი სიმბოლისტის, პატარძეულელთა საამაყო შვილის – გიორგი ლეონიძის თვეა.

„ისევ პატარძეულის აივანზე ვდგავარ“ – რამდენი გარდასული და დიადი სახელები ახსოვს ამ აივანს. ქართული კულტურის კორიფეები, ლექსისა და პროზის მეფენი ტრადიციული „გოგლაობის“ დღესასწაულებზე მუდმივად სტუმრობდნენ პატარძეულს.

ამჯერად, დეკემბრის თბილ და მზიან დღეს მოსწავლეები: **მარიამ ონაშვილი, გვანცა გიუნაშვილი, გიზო თავართქილაძე, ლაშა მთვრალაშვილი** და სხვები სულშიჩამწვდომი ქართულით იხსენებდნენ გოგლას, მუხლს იყრიდნენ პოეტის დედის საფლავზე და მადლობას უხდიდნენ საამაყო ქართველ ქალს, რომლის ცრემლებზეც ამოსულმა იებმა საოცარი ქართული „გოგლაურა“ შექმნეს.

თავად პოეტის აჩრდილი კი თითქოს შარავანდედად ედგა პატარძეულს, საიდანაც მისი ლექსი, როგორც გედი ისე აფრინდა და დაფრთიანდა.

„პატარძეული – გედის აფრენა,
ლექსის ვენახი – პატარძეული“.

პოეზიის ამ მშვენიერი საღამოს შემდეგ, დამსწრე საზოგადოებამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პატარძეულის საჯარო სკოლის ამაგდარ მასწავლებელს, ქალბატონ **მარიამ ჯავახიშვილს**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაწურა პოეზიის მწიფე მტევნები ამ ხნიერ და ნაყოფიერ ლექსის ვენახში.

*ნინო გურდიაშვილი*
*პატარძეულის საჯარო სკოლის*
*განათლების ხარისხის მენეჯერი*

პროფესიონალთა კლასი

# თუ შენი გეგმები საუკუნეებს მოიცავს

*„თუ შენი გეგმები ერთწლიანია – ნახნავში ფეტვი უნდა დათესო, თუ ათწლეულებს მოიცავს, ხეები დარგო, ხოლო თუ საუკუნეებს, მაშინ ადამიანები უნდა აღზარდო“.*

აღმოსავლური ანდაზა

1983-1984 წლებში, ოჩხამურში იყო რუსული საშუალო და ქართული რვაწლიანი სკოლა. ამ დროს III კლასში ვიყავი. გონებაში ჩამრჩა რუსულად მოლაპარაკე მაღალი გოგო-ბიჭები. ჩემი და ამ დროს მაღალ კლასში სწავლობდა და ბევრს მიყვებოდა ქართულის გაკვეთილებსა და თავად მასწავლებელზე. ავიპარებოდი ხოლმე II სართულზე და ერთი სული მქონდა, ცალი თვალით მაინც დამენახა, რა ხდებოდა შიგნით. ეს იყო პატარა კაბინეტი, სადაც, როგორც ამბობენ, კატა კუდს ვერ მოიქნევდა. უზარმაზარ სამსართულიან სკოლაში იყო პატარა ქართულის კაბინეტი. ვოცნებობდი, დიდი გავზრდილიყავი და მეც შევსულიყავი იმ კაბინეტში. მიუხედავად სიმცირისა, იგი სავსე იყო ხელნაკეთი თვალსაჩინოებებით, მწერლების საქაღალდეებით, ალბომებით...

იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით, ჩვენს დაბაში და სკოლაში რუსიფიკატორული პოლიტიკა ტარდებოდა (ქართველი ბავშვები რუსულ სკოლას ამთავრებდნენ. არ სიამოვნებდათ, როცა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა ღონისძიებები), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნინა სეფერთელაძე-შეწირულისა** იდგა, როგორც ბურჯი, ქართული ენის სადარაჯოზე. გვეუბნებოდა, რომ „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია“, გვასწავლიდა – „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს“. სწორედ ამიტომ მოუწია მის შვილებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში საშუალო განათლების მიღება (მის ოჯახში არასდროს მდგარა საკითხი, რომ შეიძლებოდა შვილებს რუსული სკოლა დაემთავრებინათ ადგილზე).

თავად სამი შვილის დედას ყოველთვის ჰქონდა დრო ეპასუხა მოსწავლის დასმულ კითხვაზე მშვიდად, აუღელვებლად. დინჯი, დარბაისელი ქართველი ქალი ქცევით, საუბრით, სულით.

დღესაც, როცა მჭირდება რჩევა, შევაღებ მისი კაბინეტის კარს, სადაც ღიმილიანი მხვდება ნინა მასწავლებელი. დამამშვიდებს, დამარიგებს, გამოსავალს მომაძებნინებს.

ნინა მასწავლებლის შრომას ფუჭად ნამდვილად არ ჩაუვლია. ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს, მის წინაშე მოკრძალებით იხრიან ქედს უკვე შვილიშვილებით დატვირთული ადამიანები. ყოფილი მოსწავლეები ხშირად მოიკითხავენ ხოლმე. იგი არა მარტო კარგი მასწავლებელი, არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა, ბებია და დიდი ბებიაცაა. ერთი შვილი, **დალი შეწირული** მის კვალს გაჰყვა, შესანიშნავი მასწავლებელი სკოლას ხელმძღვანელობს. რთულია იყო ნინა მასწავლებლის შვილიცა და მოსწავლეც.

ვიხსენებ ერთ დღეს, როცა ავად გახდა ნინა მასწავლებელი – საავადმყოფოდან მომავალს სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე მიეგება და სკოლამდე მოაცილა. იმ დღეს მეცადინეობა თითქმის ჩაიშალა.

აქვს უამრავი ჯილდო, სიგელი, მადლობა: სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი, აჭარის ა/რ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელები, ჯილდო, მადლობები. სწორედ მისი დიდი ძალისხმევით გაიხსნა ქართული საშუალო სკოლა ოჩხამურში. ყველაზე დიდი ჯილდო, რომლის მიღება ყველაზე ძნელია, აღზრდილების სიყვარულია, რაც უხვადაა მის ცხოვრებაში.

გაკვეთილზე იყო თბილი, ხმამაღლა არასოდეს დალაპარაკებია ბავშვებს, მისი თითოეული გაკვეთილი ზეიმი იყო. ბავშვები მისი გამომეტყველებით ხვდებოდნენ, რა სწყინდა და რა უხაროდა.

ერთ დღეს ავად იყო და შევცვალე. ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩაილაპარაკა: ეჰ, სად არის ახლა ჩემი ნინა მასწავლებელი.

ამონაწერი XII კლასის ერთ-ერთი მოსწავლის წერილიდან:

„თქვენ ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობთ, თქვენ ჩვენი სიცოცხლით ცოცხლობთ, თქვენ ჩვენით ხალისობთ... თქვენ სკოლის ცხოვრების ახალ პირობებშიც წარმატებით აგრძელებთ მასწავლებლობას. ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც აუცილებელია პედაგოგისთვის თქვენში დღემდე ულევია.

თქვენნაირებით უნდა ამაყობდეს თანამედროვე ქართული სკოლა. თქვენ ყველა იმ მოსწავლის ნინა მასწავლებელი ბრძანდებით, რომელიც ოჩხამურის საჯარო სკოლაში დადის“.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვარ თქვენი მოსწავლე დღესაც, ასე ვუწოდებდი მე ჩემს თავს, რადგან დღესაც მაოცებთ თქვენი სიბრძნით.

*ნონა შაინიძე*
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

ინფორმაცია

# სვეტიცხოველმა ისევ გაგვაერთიანა

ეს სიტყვები სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის „ჩემი სვეტიცხოველი“ ლაიტმოტივი გახდა. კონფერენციის ჩატარების ინიციატორი აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ალუდა გოგლიჩიძე**) საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის კათედრა (კათედრის გამგე – **მანანა გაბუნია**) იყო. ამ შესანიშნავ ინიციატივას მხარი დაუჭირა პარტნიორმა ორგანიზაციებმა: თბილისის პედაგოგ-ისტორიკოსთა კლუბი „მემკვიდრე“; „ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია“; შემეცნებით-საგანმანათლებლო ჟურნალი მოზარდებისათვის „ჯუნიორ საქართველო“; კლასიკური მუსიკის რადიო „მუზა“.

კონკურსი, რომელიც სვეტიცხოვლის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა, შესანიშნავად იყო ორგანიზებული, 42-ე საჯარო სკოლა ნამდვილად შექების ღირსია. ფესტივალი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სექციებით. კურსების საჯარო სკოლის (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) მოსწავლეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს 42-ე საჯარო სკოლის თანატოლთა გამოწვევა. სკოლაში შეიქმნა ისტორიის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც სათავეში გამოცდილი პედაგოგი **ნატო ბერეკაშვილი** ჩაუდგა. ჯგუფის წევრები ეწვივნენ სვეტიცხოვლის ტაძარს მცხეთაში, გადაიღეს ტაძრის ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი, დაამზადეს ფოტოალბომი, კომპიუტერული პროექტი „ჩემი სვეტიცხოველი“, მომზადდა ორი ისტორიული ნარკვევი.

წარდგენილმა ნაშრომებმა მოწონება დაიმსახურა და მონაწილეობა მივიღეთ დასკვნით ტურში, რომელიც 18 დეკემბერს 42-ე საჯარო სკოლაში გაიმართა.

სკოლაში დაგვხვდა არაჩვეულებრივად გულთბილი, ამაღლებული განწყობილება. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ გამოფენები.

ისტორიის სექციაში გუნდურ პროექტში „ჩემი სვეტიცხოველი“ I ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს XI კლასის მოსწავლეებმა – **თინათინ უკლებამ** და **მევლუდ ჭუმბურიძემ;** ინდივიდუალური ნაშრომისთვის I ადგილი დაისაკუთრა XI კლასის მოსწავლე **ილია მამრიკიშვილმა;** სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოვდა კინოდოკუმენტალისტების ჯგუფიც: XII კლასის მოსწავლეები – **ნათია გიორგაძე** და **გვანცა უკლება**, IX კლასის მოსწავლე **მარიამ ბეროძე;** ფოტოალბომის ავტორები: IX კლასის მოსწავლეები – **თამარ კუპრეიშვილი** და **მარიამ ბერეკაშვილი;** ფოტორეპორტაჟის ავტორი – XI კლასის მოსწავლე **თინათინ უკლება**.

აუდიტორიას გულთბილად მიესალმა 42-ე საჯარო სკოლის დირექტორი ალუდა გოგლიჩიძე, პროექტის კოორდინატორი **ნუგზარ მოლაშვილი**, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი **ნინო ცანგიშვილი**.

42-ე საჯარო სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ კონკურსმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და მასში, ქვეყნის მასშტაბით, 800-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „სამი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“, რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოჩნდა ამ კონკურს-ფესტივალზე.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გადავუხდით ჩვენს შესანიშნავ მასპინძლებს და მომავალში თანამშრომლობის იმედს ვიტოვებთ.

*ნატო აბესაძე*
*ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების*
*საჯარო სკოლის პედაგოგი*

# ჩემი ზღვისფერი გალაკტიონი

ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ნინო ბერძენიშვილის** ხელმძღვანელობით დაწერეს პროექტი **„ჩემი ზღვისფერი გალაკტიონი“**. პროექტის მიზანი იყო გალაკტიონის ლექსის იდუმალი მუსიკის წვდომა და გარკვეულ დონეზე მისი სიმბოლიკის ამოცნობა.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება – ვიქტორინა, პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც მოსწავლეებმა გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ღია გაკვეთილი, რომელიც პოეტის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში ჩატარდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, ნაწყვეტები გალაკტიონის დღიურიდან, წერილები, რომლებსაც პოეტი წერდა დედას, ოლიას, იოსებს... შეეცადნენ ჩაწვდომოდნენ გალაკტიონის სიმბოლიკას. იქ ნანახით და გაგონილით გაიორმაგეს ცოდნა. ლექსის დიდოსტატის, დამოუკიდებელი, ორიგინალური პოეტური ხმის, ღრმა განცდების მქონე ლირიკოსის სახელი და შემოქმედება კიდევ უფრო ახლობელი გახდა მათთვის.

*მაია გოგიბერიძე*
*ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნის*
*საჯარო სკოლის დირექტორი*

# „სტუმრად ლევილში“

ცნობილია, რომ ფრანგული ენა მუსიკალური, არისტოკრატიული, დიპლომატიური, მეცნიერების, იუნესკოსა და სიყვარულის ენაა. სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობდნენ მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე პუშკინი, ქართველი თავადები და მათი ულამაზესი ასულები... ცნობილია, როგორ გააოცა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ბრწყინვალე ფრანგულით ფრანგები. აღსანიშნავია, რომ ქართველ და ფრანგ სამეფო ოჯახებს შორის ნათესაური კავშირიც არსებობს.

ფრანგი ერის კულტურასა და სათნოებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოდან დევნილმა ქართველმა ემიგრანტებმა საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დაბა ლევილში ჰპოვეს თავშესაფარი. „სტუმრად ლევილში“ – ამიტომ ერქვა ასე ფრანგული ენის საღამოს აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **რიტა გოგიშვილი**). ნორჩმა ფრანკოფონებმა იმოგზაურეს საფრანგეთში, „ესტუმრნენ“ ქართველთა სათვისტომოს, ქართველ ემიგრანტთა თავშესაფარს, დაბა ლევილს, მოინახულეს ქართველთა საძვალე ლევილის ძმათა სასაფლაოზე, ქართული სტამბა, ლევილის სასახლე, ქართული ეკლესია, „დაათვალიერეს“ სიყვარულისა და მსოფლიოს დედაქალაქი პარიზი.

ფრანგული ენის საღამო მიყავდათ: **თეონა ახობაძეს, თამაზ ცომაიას, მარიამ მიქაძეს, მაგდა დუნდუას, თეონა გოგიშვილს, მარიამ ახობაძეს, ნათია ხონელიძეს, თამთა ჭიღლაძეს, ანა დუნდუას, ზაურ ნინუასა** და სხვებს.

ნორჩმა ფრანკოფონებმა ფრანგულ ენაზე განასახიერეს ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, ვიქტორ ჰიუგოს „კოზეტა“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“ – კვაზიმოდო და ესმერალდა“. მაგდა დუნდუამ მაყურებელი დაატკბო მიშელ ლეგრანის შესანიშნავი სიმღერით კინოფილმიდან „შერბურგული ქოლგები“...

ნორჩი ფრანკოფონების აზრით, დღევანდელ მსოფლიოში კიდევ ერთ უცხოურ ენაზე მოსაუბრე მოსწავლისთვის საკუთარი ქვეყნისა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე გზის გაკვლევის შანსები იზრდება. კიდევ ერთი ენის შესწავლა დამატებითი სიმდიდრის შეძენასა და ახალი პირადი თუ პროფესიული ჰორიზონტების გაფართოებას ნიშნავს.

ფრანგული გაეროს, იუნესკოს, ნატოს, ევროკავშირის, საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო ენა და ორიდან ერთ-ერთი ოფიციალური ენაა. ფრანგულად 200 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს ხუთივე კონტინენტზე, ინგლისურის შემდეგ ყველაზე ინტენსიურად შესწავლილი ენაა მსოფლიოში.

აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები უკვე რამდენიმე წელია I ხარისხის დიპლომებით ჯილდოვდებიან მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე; გასულ წელს აქტიური მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის საელჩოსა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში, რომელშიც მეათე კლასის წარჩინებულმა მოსწავლეებმა – **მარიამ მიქაძემ** და **მაგდა დუნდუამ** გაიმარჯვეს, ხოლო მე, როგორც სკოლის ფრანგული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, I ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით დამაჯილდოვეს. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული **ნინო ტრაპაიძე** მალე საფრანგეთში გაემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად.

*გულიკო გოგიტიძე*
*აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გაზეთ „საქართველოს მიღმა საქართველოს“ ჟურნალისტი*

# თანამშრომლობისა და პარტნიორობის პროექტის ფარგლებში

უკვე სამი წელია, ზოდის საჯარო სკოლა, მეზობელი თემის საკრებულოს სკოლებთან ერთად, სკოლებს შორის პარტნიორობის პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებას უდგას სათავეში. დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონფერენცია, რომელშიც ზოდის საჯარო სკოლასთან ერთად ხალიფაურის, წირქვალის, ზედუბნის, ჭალოვანის სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საიუბილეო დღეებში შევაგროვეთ მასალები, გამოიცა გაზეთი, მომზადდა გამოფენა, მოეწყო მხატვრული კითხვა თემაზე: „გვიყვარს, გვახსოვს და ვკითხულობთ აკაკის“. კოფერენციის გამართვამდე მოსწავლეებმა ყველა ხელმისაწვდომი მასალა შეაგროვეს სკოლის მასწავლებლებთან – **ეთერ ქურცაძესთან, ელისო მერმანიშვილთან** და **ირმა ბოჭორიშვილთან** ერთად. იმუშავეს და საინტერესო თემები წარმოადგინეს: „აკაკი წერეთლის სახელისა და გვარის ეტიმოლოგია“, „ილია და აკაკი“, „აკაკის პირადი წერილები“, „აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები“. მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა იმ თემებმა, სადაც დიდი მგოსნის ნაწარმოებები საღვთისმეტყველო კუთხით იყო განხილული. ჟიურიმ მოიწონა რამდენიმე თემა და მისცა რეკომენდაცია – გაიგზავნოს მოსწავლეთა 65-ე სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაზე. მოსწავლეთა მშობლები და მოწვეული სტუმრები კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ. დასასრულ სოფლის მოძღვარმა მამა გიორგიმ ლოცვა აღავლინა აკაკი წერეთლის სახელზე, აკურთხა და დალოცა ღონისძიების მონაწილეები.

საინტერესო პროექტი მომზადდა აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე, გეოგრაფიის მასწავლებლის **მარინა დეკანოიძის** ხელმძღვანელობით. პროექტის სახელწოდება იყო „თვალსაწიერი“, რომლის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „მოსწავლის თვალით დანახული ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“.

საინტერესო თემები წარმოადგინეს: ზოდის საჯარო სკოლის მეათეკლასელებმა – **ნინო ჭიღლაძემ, მარიამ კეკენაძემ, თამარ გამყრელიძემ** – „ჭიათურის რაიონის ეკოლოგიური პრობლემები“; ხალიფაურის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა **უჩა აბესაძემ** – „ჩემი სოფლის ეკოლოგიური პრობლემები“; წირქვალის საჯარო სკოლის მოსწავლემ **გიორგი ჭიტაძემ** – „ატმოსფეროს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სოფელ წირქვალში“; ზედუბნის საჯარო სკოლის მერვეკლასელმა **მიხეილ ბუიშვილმა** – „სოფელ ზედუბნის ბუნებრივი ტყის მასივები და მასთან დაკავშირებული პრობლემები“.

კონფერენციის მონაწილეებმა საინტერესო ინიციატივას ჩაუყარეს საფუძველი – პარტნიორი სკოლის მოსწავლეები ერთობლივად დაამზადებენ ბანერებს, გამოაკრავენ უბნებში წარწერით „ნუ დააბინძურებთ გარემოს, ის ჩვენი საერთო სახლია“, აგრეთვე მოსწავლეები ერთობლივად გამოუშვებენ კვარტალში ერთხელ ჟურნალს „ნორჩი ეკოლოგი“.

ზოდის საჯარო სკოლამ გაცილება მოუწყო პენსიონერ პედაგოგებს: ქალბატონ **იზოლდა მესხს**, რომელიც 1970 წლიდან მუშაობდა აღნიშნულ სკოლაში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად და ქალბატონ **მზია კურტანიძეს**, რომელიც 1976 წლიდან მუშაობდა ზოდის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. საღამოზე სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მათმა აღზრდილებმა, რომლებიც დღეს თვითონაც პედაგოგები არიან და წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა საჯარო სკოლებში. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნონა ყაველაშვილმა** მადლობა გადაუხადა ღვაწლმოსილ პედაგოგებს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და სკოლის სახელით ფასიანი საჩუქრები გადასცა.

სასწავლო წლის ბოლომდე კიდევ ბევრი ღონისძიება და პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი.

*ირმა ბოჭორიშვილი*
*ზოდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

## ინფორმაცია

* * *

გრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის პროცესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალი სასწავლო წლიდან თანამედროვე სკოლის შენობაში განაახლებს სწავლას ახალქალაქის მესამე საჯარო სკოლის 130-მდე მოსწავლე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ახალქალაქს თავად ეწვია და ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ახალი სკოლის პროექტის პრეზენტაციასა და განხილვაში.

№3 საჯარო სკოლა ქართულენოვანია. შენობა, რომელშიც სკოლა იყო განთავსებული, 1988 წელს, სპიტაკში მიწისძვრის შედეგად დაზიანდა. მას შემდეგ მოსწავლეები სკოლა-ინტერნატის შენობაში, არაკომფორტულ და არაშესაფერის გარემოში სწავლობენ.

ბოლო წლებში, ადგილობრივ, არაქართულენოვან მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზარდა ქართულ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა. 2007 წელს №3 საჯარო სკოლაში 87 მოსწავლე ირიცხებოდა, დღეს კი, აქ 130 ბავშვი სწავლობს. სკოლის ხელმძღვანელობა ახალი შენობის მშენებლობის დასრულებისთვის კონტინგენტის მნიშვნელოვან ზრდას ვარაუდობს. ახალი შენობა 250 მოსწავლეზე იქნება გათვლილი.

ახალქალაქში 5 საჯარო სკოლაა, აქედან 3 სომხურენოვანია, ერთი – რუსულენოვანი, ერთი – ქართულენოვანი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და მაჟორიტარმა დეპუტატმა **გურამ მესაბიშვილმა** სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევის მოსახლეობას ახალი სკოლის პროექტი წარუდგინეს და ის ადგილი მოინახულეს, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდება.

ახალი სკოლა, რომელიც 200 ბავშვზეა გათვლილი, სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით აშენდება და უკვე სექტემბერისთვის შევა ექსპლუატაციაში. დაწყებულია ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძველი შენობის დემონტაჟი, რამდენიმე თვე ნოქალაქევის 150-მდე მოსწავლე სოფლის საკრებულოს შენობაში გააგრძელებს სწავლას.

გასულ წელს სენაკის რაიონში სამ სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სულ რაიონში ორი სკოლა სრულად და ათი ნაწილობრივ რეაბილიტირებულია. 2011 წელს ერთი სკოლის მშენებლობა დასრულდება და ეტაპობრივად ჩაუტარდება რეაბილიტაცია 7 საჯარო სკოლას.

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** განათლების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა და სიახლეები გააცნო. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები, დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები. შეხვედრაზე მინისტრმა შეაჯამა გასული წელი და ვრცლად ისაუბრა მომავალ გეგმებზე.

ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რაც 2011 წლიდან განხორციელდება სკოლების დაფინანსების ახალი მოდელია. შემუშავდა ფორმულა, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს როგორც მაღალმთიანი სოფლების, ასევე დიდი ქალაქების სკოლებს.

2011 წლიდან, სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის გზით, სკოლების ვაუჩერული დაფინანსება 44 მილიონი ლარით გაიზრდება. ბიუჯეტში დანაკლისი არცერთ სკოლას აღარ ექნება.

ახალი ფორმულის მიხედვით, ყველა სკოლას გაუჩნდება გარკვეული სახსრები იმისთვის, რომ განავითაროს სკოლის ინფრასტრუქტურა. ეს სკოლას უფრო დამოუკიდებელს გახდის და ხელს შეუწყობს სკოლების დეცენტრალიზაციას.

სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი მოსწავლეთა რაოდენობაზე, სასწავლო კურიკულუმებსა და სკოლის საჭიროებებზეა მიბმული. სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი აშშ-ს განვითარების სააგენტოს ექსპერტების, სკოლის დირექტორებისა და ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემუშავდა.

დიმიტრი შაშკინი შეეხო დირექტორთა და მასწავლებელთა სერტიფიცირების საკითხს, მომდინარე წელს ყველა მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა გამოცდები გაიაროს და მიიღოს მაღალი ანაზღაურება, ასევე, სურვილის შემთხვევაში, ყველა საგნის პედაგოგი შეძლებს გადალახოს ინგლისური ენის ცოდნისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობის მინიმალური კომპეტენცია, რაც ასევე გულისხმობს დამატებით ანაზღაურებას.

ახალი სასწავლო წლიდან ყველა პირველკლასელი მიიღებს ნეთბუქს. ივნისისთვის საქართველოში აშენდება ქარხანა, სადაც პირველკლასელთა კომპიუტერები აიწყობა, დაწყებითი კლასებიდან გაძლიერდება უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მკაცრდება სახელმძღვანელოთა გრიფირების წესი, შესაბამისად, კომპეტენტური კომისიის მიერ მხოლოდ კარგი სახელმძღვანელოები შეირჩევა. წელს პირველად საატესტატო გამოცდები CAT-ის პროგრამით ჩატარდება. 2011 წლიდან შემოდის ახალი სავალდებულო და არჩევითი საგნები. დასასრულს, დიმიტრი შაშკინი პროფესიული განათლებისა და ზოგადად, სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებასაც შეეხო.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურის მიმდინარეობას გაეცნო.

ოლიმპიადის ისტორიაში 2011 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. მეორე ტურში 85 ათასამდე მოსწავლე გადავიდა. ოლიმპიადის მეორე ტური საქართველოს 65 ქალაქისა და რაიონული ცენტრის 91 სკოლაში მიმდინარეობდა.

ოლიმპიადის მეორე ტური 9 იანვარს ინფორმატიკის ოლიმპიადით დაიწყო, 11 იანვარს მეორე ტური ჩატარდა უცხო ენასა და მათემატიკაში, 12 იანვარს – ისტორიასა და ფიზიკაში, 13 იანვარს – ქართულ ენასა და ქიმიაში, 14 იანვარს – გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, რამდენიმე წელია, სხვადასხვა საგანში შემოქმედებითი ოლიმპიადა ტარდება. ოლიმპიადის მიზანია გამორჩეული ცოდნითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი წახალისება და სასწავლო პროცესის სტიმულირება. ჰუმანიტარულ საგნებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე წყაროს ინტერპრეტაცია, საკუთარი აზრის გამოხატვა, არგუმენტირებულად დასაბუთება და კრიტიკული აზროვნება. ტექნიკურ საგნებში კი, მიღებული ცოდნის გამოყენება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული შინაარსის ამოცანების ამოსახსნელად.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორმა **ხატია დეკანოიძემ** სკოლის მანდატურის ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებით შემაჯამებელი ბრიფინგი გამართეს.

სკოლის მანდატურის ინსტიტუტის შემოღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმების ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. პროექტის განხორციელების აუცილებლობა მოზარდებში ძალადობის ფაქტების მატებამ განაპირობა, სკოლებში მანდატურების შეყვანა მიზნად ისახავდა მოსწავლეებში დანაშაულის პრევენციასა და სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნას.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, 2011 წლიდან მანდატურები მუდმივ გადამზადებას გაივლიან და ამ პროცესში ფსიქოლოგები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან. გარდა სკოლებისა, მანდატურები პროფესიულ კოლეჯებში გადანაწილდებიან. ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, კერძო სკოლებშიც შევლენ.

ჩატარებული კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სტატისტიკურ-ანალიტიკური დეპარტამენტი), სკოლის მანდატურის ინსტიტუტის დანერგვის შემდეგ სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო გარემო და შემცირდა ძალადობის ფაქტები, კერძოდ:

✓80%-ით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები;

✓75%-ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები;

✓95%-ით აღმოიფხვრა მოსწავლეთა მხრიდან ფულის გამოძალვის ფაქტები;

✓80%-ით შემცირდა მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები;

✓90%-ით შემცირდა საჯარო სკოლებში ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები;

✓პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, „2010 წელს საჯარო სკოლებში სკოლის მანდატურის ინსტიტუტის ინპლემენტაცია წარმატებით განხორციელდა. სკოლის მანდატურები აქტიურად ჩაერთვნენ სასკოლო ცხოვრებაში, დაუმეგობრდნენ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას ეხმარებიან წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მანდატურებმა დროულად აღკვეთეს მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები, რითაც მრავალი სერიოზული დანაშაული იქნა თავიდან აცილებული“.

უმკაცრესი ტესტირებისა და ფსიქოლოგიური შემოწმების შემდეგ სკოლის მანდატურებმა მომზადება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარეს. ამ დროისთვის მანდატურები თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, გორის, ზუგდიდის, რუსთავისა და ყვარლის საჯარო სკოლებში მოღვაწეობენ. სკოლის მანდატურის სამსახურში ცხრაასამდე სკოლის მანდატურია დასაქმებული.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, მათემატიკის 10 და ინგლისური ენის 5 მასწავლებელი სასწავლო ტურით დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. აეროპორტში პედაგოგებთან ერთად მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** იმყოფებოდა. მასწავლებლები „ნიუ კოლეჯ ნოთინგემში“ პროფესიულ ორკვირიან ტრენინგს გაივლიან.

„ნიუ კოლეჯ ნოთინგემი“ დიდი ბრიტანეთის კოლეჯების ერთ-ერთი უდიდესი სისტემაა, რომელიც პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ქართველი პედაგოგები ნოთინგემში საგნის სწავლების მეთოდიკისა და ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს დაესწრებიან. დაგეგმილია სემინარები და სამუშაო შეხვედრები ნიუ კოლეჯის პროფესურასთან. ლონდონში, კაპლანის საერთაშორისო კოლეჯში შედგება შეხვედრა ადგილობრივ პედაგოგებთან, რომლებიც სტუმრებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ.

ქართველი მასწავლებლები დიდი ბრიტანეთის სკოლებსაც ეწვევიან, დაესწრებიან გაკვეთილებს, გაეცნობიან სასწავლო გეგმებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

კურსის დასასრულს, პედაგოგებს გადაეცემათ სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური მასალა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ნინო ანანიაშვილის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით, „თბილისი არტ ჰოლში“ 200 ბავშვისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან საშობაო წარმოდგენა გაიმართა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** და ნინო ანანიაშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი **გია გოგიტიძე** დაესწრნენ.

ბავშვებს ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა, საბავშვო სტუდია „ფანტასმაგორიის“ წევრებმა და თოჯინების თეატრის მსახიობებმა უმასპინძლეს და „საშობაო ზღაპარი“ წარმოუდგინეს.

სპექტაკლის ბოლოს ბავშვები მსახიობებს შეხვდნენ და წარმოდგენისთვის მადლობა გადაუხადეს.

ანალოგიური საქველმოქმედო აქციები არ იქნება ერთჯერადი, სამინისტრო მომავალშიც წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს და ბავშვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** 2010 წლის შემაჯამებელი აკადემიური და პროფესიული სამიტი გახსნა. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამიტზე 10-ზე მეტი მომხსენებელი გამოვიდა და 2010 წელს განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებსა და მომავალში დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა.

განხილულ თემებს შორის იყო: სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების განვითარება; სამედიცინო, სამართლისა და პედაგოგიკის მიმართულებების ძირითადი სტრატეგიები; ტრენინგების ევროპული ფონდის მიერ საქართველოს განათლების სისტემაზე გაკეთებული ანგარიშის მიმოხილვა და სხვ.

ევროპული ფონდის ანგარიშის მიმოხილვა სამიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო, რადგან ანგარიშში აღნიშნული ხარვეზები 2010 წლის ბოლოსთვის სრულად აღმოიფხვრა.

სამიტზე მონაწილეთა წინაშე მოხსენებებით წარდგნენ: სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, თსუ-ს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. სამიტს 300-მდე სტუმარი დაესწრო, მათ შორის ზოგადი, პროფესიული, აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.